პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საგზოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 196 (12110) | კვირა, 27 აგვისტო, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის № 5 საექსპლოატაციო უბნის კომუნისტური შრომის ბრიგადა. (შუაში) ბრიგადირი აკაკი ჩიქობავა.
ფოტო გ. გერსამიასი (საქდესის ფოტოქრონიკა).

მეშახტეთა ზეიმი

დღეს ჩვენი დიადი ქვეყნის მეშახტეები ტრადიციულ დღესასწაულს — მეშახტის დღეს — აღნიშნავენ იმ ვითარებაში, როცა საბჭოთა ხალხი თავდადებული შრომით, შემოქმედებითი პათოსით გამსჭვალული ეგებება კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას. სულ უფრო ძლიერდება საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი აქტივობა, როცა გულდასმით ეცნობიან და სწავლობენ სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტებს, სადაც დასახულია კომუნისტური საზოგადოების აშენების ნათელი პროგრამა.

მრავალ ღონისძიებათაგან, რომლებიც დასახულია პარტიის ახალი პროგრამის პროექტში, ერთ-ერთი ძირითადი ადგილი კლავ თანამედროვე მრეწველობის საფუძვლის — ლითონისა და სათბობის წარმოების შემდგომ სწრაფ გადიდებას უჭირავს.

სათბობის ამოღების გადიდების ეს უდიდესი პროგრამა დიდი ამოცანების წინაშე აყენებს ჩვენი რესპუბლიკის მეშახტეებს. შვიდწლეულის განვლილ პერიოდში რესპუბლიკის მეშახტეებმა მკვეთრად გააძლიერეს მუშაობის ტემპი, წლიურწლობით ზრდიან ქვანახშირის ამოღებას და სამშობლოს გეგმის გადამეტებით აძლევენ დიდძალ სათბობს.

ჩვენი რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის მუშაკები პირნათლად ასრულებენ სკკპ ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს. რესპუბლიკის მეშახტეები ამ წარმატებებს იმით აღწევენ, რომ მხურვალედ უჭერენ მხარს ყოველივე ახალს, პროგრესულს ქვანახშირის მრეწველობაში. ჩვენი მეშახტიები ერთ-ერთი პირველნი გამოეხმაურნენ დონეცის აუზის სახელოვანი მეშახტეების ნიკოლოზ მამაისა და ალექსანდრე კოლჩიკის შესანიშნავ თაოსნობას. ახლა რესპუბლიკის შახტებში მათ ბევრი მიმდევარი ჰყავთ და შესანიშნავ წარმატებებსაც აღწევენ.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ქვანახშირის შახტებმა სათბობის ამოღების შვიდი თვის დავალება გადაჭარბებით შეასრულეს. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა ტონა ქვანახშირის თვითღირებულება.

ტყიბულქვანახშირის ტრესტის შახტებს შორის ყველას გაუსწრო სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა. აქ 22 აგვისტოსათვის დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ქვანახშირის ამოღების 8 თვის გეგმა და სამშობლოს გაუგზავნეს რამდენიმე ეშელონი ზეგეგმითი სათბობი.

ამას წინათ ეს შახტი მთლიანად გადავიდა ჰიდრავლიკურ ვსებაზე. ქვანახშირის მოპოვების ამ ახალ მეთოდს ყველაზე კარგად დაეუფლა იმ უბნის კოლექტივი, რომელსაც სახელგანთქმული სამთოელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ივ. ორჯონიკიძე ხელმძღვანელობს. ამ უბანმა მარტო აგვისტოში ჰიდრავლიკური ვსებით რამდენიმე ეშელონი „შავი ოქრო" ამოიღო, თვიური დავალება ორმაგად შეასრულა და მნიშვნელოვნად შეამცირა ტონა ქვანახშირის თვითღირებულება.

ჰიდრავლიკური ვსების გაფართოებამ დღის წესრიგში დააყენა სავსები მასალის მტკიცე ბაზის შექმნის საკითხი. ამ მიზნით შახტში ბევრი ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიება განხორციელდა. მთლიანად რეკონსტრუირებულ იქნა სავსები მასალის დასამზადებელი კარიერი, მომზადდა სანგრევის ახალი ხაზი, დაიდგა დიდი წარმადობის მქონე ქვის სამსხვრევი მანქანები.

ტყიბულელ მეშახტეებს მაღალნაყოფიერ შრომაში არც ტყვარჩელის მეშახტეები ჩამორჩებიან. მაგრამ აქ ყველაზე მეტი ქების ღირსია მეხუთე შახტის კოლექტივი, რომელმაც მეორე კვარტალში სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში ყველას გაუსწრო და დასასურეულად მოიპოვა პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

შახტის კოლექტივი ამ წარმატებით როდი დაკმაყოფილდა. კიდევ უფრო გააძლიერა მუშაობის ტემპი და აგვისტოში ახალ წარმატებას მიაღწია. 22 რიცხვისათვის 8 თვის დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა და ახლა სათბობს სექტემბრის ანგარიშში იძლევა.

ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტს წარმატებით ეწევა ავრეთვე მეექვსე შახტის კოლექტივი. აქ 18 აგვისტოსათვის გადაჭარბებით შეასრულეს რვა თვის დავალება.

სასიხარულოა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის მეშახტეებმა გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მუშაობა, თითქმის ყველა შახტი ასრულებს დავალებას.

მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგიერთ შახტში ჯერ კიდევ მძიმედ ინერგება მოწინავე ტექნიკა და სათბობის ამოღების პროგრესული მეთოდები, შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, დიდია ხელით შრომის პროცენტი, სუსტად იბრძვიან ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის, რის გამო ზოგიერთ შახტში ჯერ კიდევ დიდია ტონა ქვანახშირის თვითღირებულება, აქვთ ზარალი.

დღეს, როცა ფართო ფრონტით არის გაშლილი ბრძოლა კომუნიზმის მატერიალური და ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, შეუწყნარებელია, რომ ზოგიერთი საწარმო კუდში მისჩაჩნალებს მოწინავე კოლექტივს, დიდი გადახარჯვები აქვს. ასეთი შახტების ხელმძღვანელებმა, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ღრმა ანალიზი უნდა გაუკეთონ არსებულ მდგომარეობას, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი იმისათვის, რომ მოკლე დროში მხარი გაუსწორონ მოწინავე შახტების კოლექტივებს, თავი დააღწიონ ზარალიანობას და გახდნენ რენტაბელური საწარმოები.

უპატაკებენ სამშობლოს

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ წარმატებით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 1.330 ტონის ნაცვლად მოკრიფა 1.400 ტონა „მწვანე ოქრო".

წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს მეოთხე და მესამე აგროგანყოფილებებმა (აგრონომი ა. თოდუა და ალ. ზარანდია), მკრეფავებმა ქ. ბიგვავამ, თ. ყვანიამ, კ. კომციკიმ, რ. თევანიანმა, ნ. ჭაბუნინაძემ. მაღე ისინი ნაკისრი ვალდებულებას გაანაღდებენ.

მეურნეობის კოლექტივმა იკისრა სეზონის ბოლომდე დამატებით მოკრიფოს 400 ტონა ჩაი.

გეგეჭკორი. („კომუნისტის" კორ.). რაიონში წარმატებით მიმდინარეობს ჩაის კრეფა. გეგმით გათვალისწინებული 7.187 ტონიდან მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 6.350 ტონა ჩაის ნედლეული.

სოფელ მუხურჩის კოლეგურნეობამ რაიონში პირველმა გადაჭარბებით შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა და სამშობლოს გეგმის გადამეტებით 8 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მისცა.

ყამირის პური ამიერკავკასიის რესპუბლიკებს

კუსტანაი, 24 აგვისტო. (საკდესი). ახალი მოსავლის მარცვლით დატვირთული მეტი და მეტი მატარებელი იგზავნება. კუსტანაის ოლქის პურის მიმღებმა პუნქტებმა საქართველოს, სომხეთისა და შუა აზიის რესპუბლიკების წისქვილკომბინატებს 25 ეშელონზე მეტი ყამირის პური გაუგზავნეს. როგორც აცნობეს საკდესის კორესპონდენტს დაგზავდების საოლქო სამმართველოში, მოსავლის აღების ალოგოის დროს კუსტანაელები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონში ყოველდღე გაგზავნიან მილიონ სამასი ათას ფუთ მარცვლეულს.

165.000 ტონა ჩაისათვის!

შრომა ჩქეფს პლანტაციებში

ამ დღეებში ბათუმის რაიონის ჩაის პლანტაციებში დიდი შრომითი აღმავლობაა. მეჩაიეები მასობრივად არიან გასული ჩაის საკრეფად. მათ კარგად იციან, რომ ყოველი დღე და საათიც კი მნიშვნელოვანია წლიური გეგმისა და ნაკისრი ვალდებულების შესრულები ს ათვის.

ბათუმელმა მეჩაიეებმა წლიური გეგმით 6.460 ტონა ჩაის ფოთოლი უნდა მოკრიფონ, უკვე მოკრეფილია 6.223,5 ტონა. ახლა ყოველდღიურად იკრეფება 45-50 ტონა და წლიური დავალების შესრულებას 30 აგვისტოსათვის ფიქრობენ. ჩაის კრეფის წლიური გეგმები შეასრულეს და ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის იბრძვიან აჭარისწყლის, ხელვაჩაურის, თხილნარ ი ს, ახალსოფლის, გონიოს და სხვა სოფლების კოლმეურნეობები.

აღსანიშნავია ახალსოფელი, გონიოელი, თხილნარელი მეჩაიეების — ლამარა ლეონიძის, კლარა ზაქარაძის, ნაზი და ფიქმეთ ბარამიძეების, სურეი დუმბაძის, აღეკსანდრა ცინცაძის შრომითი მიღწევები. მათ კარგა ხანია შეასრულეს ჩაის კრეფის წლიური გეგმები, სეზონის დასაწყისში ნაკისრი ვალდებულებანი და ახლა დამატებით კრეფენ ჩაის.

ბათუმელი მეჩაიეები სიტყვას არ გატეხენ და ახალი წარმატებებით შეხვდებიან პარტიის XXII ყრილობას.

წულუკიძელთა გადაწყვეტილება

წულუკიძე. (სპეც. კორ.). ახალი წარმატებებით შეეხვდეთ პარტიის XXII ყრილობას, ჩაის კრეფის წლიური გეგმა შეასრულოთ 29 აგვისტოსათვის! ამ დევიზით შრომობენ ახლა წულუკიძელი მეჩაიეები. რაიონში მოკრეფილია 2.529 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 97 პროცენტს შეადგენს.

წულუკიძელებმა იანგარიშეს და მიზნად დაისახეს სეზონში გეგმის გადამეტებით შესცენ ქვეყანას 300 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული.

სასახელო მაჩვენებლებს მიაღწია წულუკიძის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ. უკვე მოკრიფა 1.212 ტონა ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.150 ტონისა.

გერმანე ტიტოვი — ტელემაყურებლებს

მოსკოვი, 25 აგვისტო. (საკდესი). დღეს ცენტრალური ტელევიზიით გამოვიდა საბჭოთა კავშირის გმირი გერმანე სტეფანეს ძე ტიტოვი. მილიონობით ტელემაყურებელს მან მოუთხრო კოსმოსური ხომალდის სტარტის დაუვიწყარ წუთებზე, იმ არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებებზე, რომლებიც მან მიილო გაფრენის, მიწაზე დაშვებისა და ხალხთან გულითადი შეხვედრების დროს.

ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის ნოვატორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. კუბლაშვილი. იგი ახალ შრომით საჩუქრებს უმზადებს მშობლიური პარტიის მომავალ, XXII ყრილობას.
სურათზე: შ. კუბლაშვილი.

საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის პლენუმი

26 აგვისტოს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიკომების გაერთიანებული პლენუმი იმასთან დაკავშირებით, რომ ეს რაიონები გაერთიანდა ერთ ახალქალაქის რაიონად. პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ს. ს. მატოიანი, მეორე მდივნად — ი. ო. აბრამიანი, მდივნად — თ. ქ. ლაზარაშვილი.

პლენუმმა აირჩია პარტიის რაიკომის ბიურო 9 კაცის შემადგენლობით.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ი. ძაღლაბიძემ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. ი. კუშაკამ.

ახალქალაქის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს სესია

ახალქალაქისა და ბოგდანოვკის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების გაერთიანებული სესია აღნიშნული რაიონების ერთ ახალქალაქის რაიონად გაერთიანებასთან დაკავშირებით გაიმართა 26 აგვისტოს. სესიამ განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

ახალქალაქის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია ვ. ა. ფურგანიანი, რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ — რ. ვ. იბითხანიანი, აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ — ლ. ლ. ტაშიანი, რაისაბჭოს აღმასკომის მდივნად — მ. ტ. ხოცანიანი.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ი. ძაღლაბიძემ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. ი. კუშაკამ.

საქართველოს ალკკ ახალქალაქის რაიკომის პლენუმი

26 აგვისტოს გაიმართა საქართველოს ალკკ ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიკომების გაერთიანებული პლენუმი. პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხი ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების ერთ ახალქალაქის რაიონად გაერთიანებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ალკკ ახალქალაქის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ვ. მ. ბაბრიელიანი, მეორე მდივნად — მ. მ. სედრაკიანი.

არჩეულია კომკავშირის რაიკომის ბიურო 9 კაცის შემადგენლობით.

კომკავშირის რაიკომის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ა. ანდრონიკაშვილმა. (საკდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მეშახტის დღესთან დაკავშირებით და სამთო მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი საინჟინრო მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება:

1. **ახვლედიანს** შალვა ბიქტორის-ძეს — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის" მმართველის მოადგილეს
2. **ბახტაძეს** ნიკოლოზ გრიგოლის-ძეს — ტრესტ „საქნახშირმადნეულძიების" გეოლოგიური განყოფილების უფროს ინჟინერ-მარკშეიდერს
3. **ბრელიძეს** დავით ივანეს-ძეს — ტრესტ „საქშახტმშენის" მთავარი ინჟინრის მოადგილეს
4. **გამყრელიძეს** გიორგი ივანეს-ძეს — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის" დიმიტროვის სახელობის მაღაროთა სამმართველოს მაღაროს გამგეს
5. **გვენცაძეს** ივანე ნიკოლოზის-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამთო მრეწველობის სამმართველოს მთავარ ენერგეტიკოსს
6. **გელაშვილს** ალექსანდრე დავითის-ძეს — ტრესტ „საქნავთის" გეოლოგიური საძიებელი კანტორის მთავარ ინჟინერს
7. **ენუქიძეს** იასონ ნიკოლოზის-ძეს — საქართველოს სახელმწიფო სამთოტექნიკურ-ზედამხედველობის ტყვარჩელის რაიონის სამთო ტექნიკური ინსპექციის უფროსს
8. **ვაჭარაძეს** ბენიამინ ბესარიონის-ძეს — საქართველოს სამთამადნო მრეწველობის ტრესტის კვაისის მაღაროთა სამმართველოს დირექტორს
9. **ვარდოშვილს** ალექსანდრე ლევანის-ძეს — საქართველოს სამთამადნო მრეწველობის ტრესტის თელავის ფიქალ-მარმარილოს კომბინატის დირექტორს
10. **იოსელიანს** ვასილ ვიქტორის-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გვირაბების მშენებლობის დირექტორს
11. **კუჭაიძეს** დავით დომენტის-ძეს — საქართველოს სამთამადნო მრეწველობის „საქფეთქმრეწვის" სამმართველოს მთავარ ინჟინერს
12. **კობახიძეს** აკაკი ნიკოლოზის-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამთო მრეწველობის სამმართველოს საწარმოო განყოფილების უფროს ინჟინერს
13. **ლოლაძეს** გიორგი ნიკოლოზის-ძეს — ტრესტ „საქნახშირმადნეულძიების" მთავარ გეოლოგს
14. **მარდალეიშვილს** კონსტანტინე იაგორის-ძეს — ტრესტ „ტყიბულქვანახშირის" მთავარ მექანიკოსს
15. **მაღლაკელიძეს** ალექსანდრე გიორგის-ძეს — ტრესტ „საქშახტმშენის" ტექნიკური განყოფილების უფროსს
16. **ნოხელიძეს** გრიგოლ ლავრენტის-ძეს — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის" კაპიტალური მშენებლობის განყოფილების მთავარი ინჟინრის მოადგილეს
17. **სახარულიძეს** ემელიან ნესტორის-ძეს — ტრესტ „ტყიბულქვანახშირის" სტალინის სახელობის შახტის მთავარი ინჟინრის თანაშემწეს
18. **ფალიაშვილს** ბორის ანტონის-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამთო მრეწველობის სამმართველოს ტექნიკური განყოფილების უფროსის მოადგილეს
19. **ქარქაშაძეს** ნიკიფორე ირაკლის-ძეს — საქართველოს სახელმწიფო სამთო ტექზედამხედველობის ტყიბულის რაიონის სამთო ტექნიკური ინსპექციის უბნის ინჟინერ-ინსპექტორს
20. **ცვარიანს** გერონტი ნესტორის-ძეს — ტრესტ „საქნახშირმადნეულძიების" მმართველის მოადგილეს
21. **ჯალაღონიას** ვლადიმერ გიორგის-ძეს — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის" ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის მთავარ ინჟინერს
22. **ჯაფლს** დიომიდე მაქსიმეს-ძეს — საქართველოს სამთამადნო მრეწველობის ტრესტის მახარაძის მაღაროთა სამმართველოს დირექტორს
23. **ჯინორიძეს** ლუკა ანტიფოს-ძეს — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის" სამთო საშუშაოების უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 1961 წლის 26 აგვისტო.



მხატვარ ო. ჯიშკარიანის ესკიზი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საბჭოთა არმიის ლვოვის რუსული დრამატული თეატრის კოლექტივის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკაში გასტროლების წარმატებით მოწყობისათვის საბჭოთა არმიის ლვოვის რუსული დრამატული თეატრის კოლექტივი დაჯილდოებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 1961 წლის 26 აგვისტო.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საბჭოთა არმიის ლვოვის რუსული დრამატული თეატრის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ სამთო მრეწველობის მოწინავე მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მეშახტის დღესთან დაკავშირებით და სამთო მრეწველობის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **აჩბა** როდიონ ჩაგოს-ძე — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის" № 6 შახტის გამყვანი
2. **აბსავა** მამია ბეგლარის-ძე — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის" № 3 შახტის პირველი უბნის გამყვანი
3. **ბიგვავა** მიხეილ ვართანის-ძე — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის" № 2 შახტის საყელავი მანქანის მემანქანე
4. **ბერიძე** გიორგი ხარლამპის-ძე — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ტექნიკურ-ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
5. **გობეჯიშვილი** აკაკი გრიგოლის-ძე — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის" დიმიტროვის სახელობის მაღაროთა სამმართველოს მთავარი ინჟინერი
6. **გაფრინდაშვილი** ლევან ნიკოლოზის-ძე — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის" ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა სამმართველოს ამწმენდი
7. **გამცემლიძე** ნიკოლოზ მიხეილის-ძე — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის" ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა სამმართველოს მთავარი ინჟინერი
8. **გოგოლაძე** გერვასი სიმონის-ძე — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის" სტალინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს მებაგე
9. **გორგაძე** გერონტი ვლადიმერის-ძე — ტრესტ „ტყიბულქვანახშირის" უსაფრთხოების განყოფილების უფროსი
10. **ვადაჭკორია** გიორგი თომას-ძე — ახალციხქვანახშირის მაღაროთა სამმართველოს საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი
11. **ვარდოსანიძე** ანტონ სევერიანეს-ძე — ტრესტ „ტყიბულქვანახშირის" ლენინის სახელობის შახტის მუშა
12. **ზამიატინი** პეტრე ვასილის-ძე — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის" სტალინის სახელობის შახტის გამყვანი
13. **თადუმაძე** ივანე სიმონის-ძე — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის" ცენტრალური ლაბორატორიის გამგე
14. **კიკვაძე** მიხეილ ისიდორეს-ძე — ტრესტ „ტყიბულქვანახშირის" საპროექტო-საკონსტრუქტორო განყოფილების უფროსი
15. **კაპანაძე** გენადი ლევანის-ძე — ახალციხქვანახშირის მაღაროთა სამმართველოს № 1 შახტის გამყვანი
16. **კერესელიძე** ვალიკო (ვარლამ) რომანოზის-ძე — ტრესტ „ტყიბულქვანახშირის" ლენინის სახელობის შახტის მუშა
17. **კვინიკაძე** კონსტანტინე ლაზარეს-ძე — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამთო მრეწველობის სამმართველოს უფროსი ინჟინერი
18. **კირკიტაძე** გრიგოლ გერონტის-ძე — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის" მმართველის მოადგილე
19. **ლეჟავა** ვარლამ ივლიანეს-ძე — ტრესტ „ტყიბულქვანახშირის" საგეგმო განყოფილების უფროსი
20. **ნიკოლაიშვილი** დავით ალექსანდრეს-ძე — ტრესტ „ტყიბულქვანახშირის" მთავარი გეოლოგი
21. **ნიკოლაძე** არჩილ გიორგის-ძე — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის" მთავარი გამამდიდრებლის მოადგილე
22. **რევიშვილი** ვლადიმერ მელიტონის-ძე — ახალციხქვანახშირის მაღაროთა სამმართველოს მთავარი ენერგეტიკოსი
23. **სუშრევსკი** მიხეილ დიმიტრის-ძე — ტრესტ „ტყიბულქვანახშირის" მთავარი მარკშეიდერი
24. **ტურძელაძე** ალექსანდრე სტეფანეს-ძე — ტრესტ „ტყიბულქვანახშირის" საკვლევო-სანორმატივო სადგურის უფროსი ინჟინერი
25. **ფრუიძე** ოთარ იაკობის-ძე — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამთო მრეწველობის სამმართველოს ინჟინერი
26. **ქობალია** კაპიტონ ფილიპეს-ძე — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის" № 3 შახტის მთავარი ინჟინრის მოადგილე
27. **ღუღუნიშვილი** კაჟო ილიკოს-ძე — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის" კალინინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს გამყვანი
28. **უურაშვილი** შოთა ილარიონის-ძე — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის" № 6 შახტის მთავარი ინჟინერი
29. **ჩაჩუა** ვახტანგ აკაკის-ძე — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის" ტექნიკური განყოფილების უფროსის მოადგილე
30. **წოწორია** გრიგოლ ივანეს-ძე — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის" № 4 შახტის მთავარი ინჟინერი
31. **ჭიპაშვილი** შოთა ილიას-ძე — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამთო მრეწველობის სამმართველოს უფროსი ინჟინერი
32. **ჯალაღანია** ბორის დარისპანის-ძე — ტრესტ „ტყიბულქვანახშირის" ორჯონიკიძის სახელობის შახტის უფროსი
33. **ჯაფარიძე** გიორგი ნიკიფორეს-ძე — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამთო მრეწველობის სამმართველოს უფროსი ინჟინერი
34. **ჯერენაშვილი** ლილი იოსების ასული — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის" № 2 შახტის ვენტილაციის უბნის უფროსის მოადგილე
35. **ჯიოევი** ვლადიმერ მიხეილის-ძე — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის" სტალინის სახელობის შახტის მუშა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 1961 წლის 26 აგვისტო.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სამთო მრეწველობის მოწინავე მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მეშახტის დღესთან დაკავშირებით და სამთო მრეწველობის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **ალასანია** ავეტის ქრისტეფორეს-ძე — თეატრის უფროსი
2. **ალექსანდროვი** ვასილ ალექსის-ძე — მსახიობი
3. **არკადიევი** არკადი ივანეს-ძე — უკრაინის სსრ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი
4. **ბაიბაკოვა** კირა სერგოს-ასული — მსახიობი
5. **დეგტიაროვა** ზინაიდა ნიკოლოზის-ასული — უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი
6. **ინოზემცევი** ალექსანდრე ვასილის-ძე — მსახიობი
7. **კალაჩევსკაია** ლუბოვ ფილიპეს-ასული — მსახიობი
8. **კოლესოვა** როზალია ვასილის-ასული — მსახიობი
9. **ლიზოგუბი** ვლადიმერ სერგოს-ძე — თეატრის მთავარი რეჟისორი
10. **ლოსიკოვი** ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე — თეატრის სამხატვრო-სადადგმო ნაწილის გამგე
11. **ლუკიანენკო** ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე — მსახიობი
12. **მაქსიმოვი** ალექსი მათეს-ძე — უკრაინის სსრ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი
13. **სატაროვი** იური ანდრიას-ძე — მსახიობი
14. **სოკოლოვი** ვიტალი ვასილის-ძე — მსახიობი
15. **ხარჩენკო** სერგო ვასილის-ძე — უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 1961 წლის 26 აგვისტო.

კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვიზიტი საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 26 აგვისტო. (საკდესი). სურს რა ხელი შეუწყოს სსრ კავშირსა და კუბის რესპუბლიკას შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებასა და განვითარებას, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა მოიწვია პრეზიდენტი ოსვალდო დორტიკოს ტოდადო მეუღლითურთ ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდეს საბჭოთა კავშირში მისთვის მოხერხებულ დროს.

პრეზიდენტი ო. დორტიკოსი მადლობით დათანხმდა მოწვევაზე და ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვა საბჭოთა კავშირში ამა წლის 11 სექტემბერს.

ახალი ამოცანების დონეზე

პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლის წინ

ახლოვდება ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში. მისი დაწყება ემთხვევა ღირსშესანიშნავ მოვლენას ჩვენი პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში — სკკპ XXII ყრილობას. ყრილობა შეაჯამებს საბჭოთა კავშირის შრომელთა დიადი მიღწევების შედეგებს და მიიღებს სკკპ ახალ პროგრამასა და წესდებას.

სკკპ XXII ყრილობის ისტორიული დოკუმენტების შესწავლა მომავალ სასწავლო წელს პარტიული განათლების ყველა ფორმის მუშაობის ძირითადი შინაარსი იქნება. ყრილობის მასალების ღრმად შეთვისება დაეხმარება კომუნისტებსა და უპარტიოებს კიდევ უფრო ნათლად გააზრონ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების სიდიადე და კანონზომიერებანი, ხელს შეუწყობს მათი კომუნისტური შეგნების, შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ზრდას.

ახალი სასწავლო წელი, უეჭველია, პარტიული პროპაგანდის იდეურ-თეორიული დონისა და ქმედითობის შემდგომი ზრდის წელი გახდება.

ПРАВДА

პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლის მომზადებისა და ჩატარებისას პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან ყურადღებით გაუკეთონ ანალიზი გასული წლის შედეგებს.

გასულ სასწავლო წელს პარტიული განათლების ქსელის მუშაობაში ცენტრალური ადგილი ეჭირა კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირის დოკუმენტების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის მასალების, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებებისა და გამოსვლების შესწავლას. ამან კეთილნაყოფიერი გავლენა იქონია პოლიტიკური განათლების დონესა და გაქანებაზე. საჭიროა განვამტკიცოთ და გავავრცელოთ შეძენილი დადებითი გამოცდილება, აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი პოლიტიკური განათლების ორგანიზაციასა და შინაარსში, მუდამ ვითვალისწინებდეთ მშრომელთა იდეური აღზრდისადმი მნიშვნელოვნად გაზრდილ მოთხოვნებს.

ყრილობის მასალების შესწავლა პარტიული განათლების ჩამოყალიბებული სისტემის ჩარჩოებში განხორციელდება სხვადასხვა პროგრამებით, კოლიტმასწავლის სხვადასხვა რგოლების სპეციფიკის მიხედვით. ამიტომ დიდმნიშვნელოვანია ყურადღებით მივუდგეთ წრეებისა და სემინარების დაკომპლექტებას, ყოველმხრივ გავითვალისწინოთ მსმენელთა მომზადების დონე და სურვილი, უზრუნველვყოთ თანამომდევნობა კომუნისტთა და უპარტიოთა მარქსისტულ-ლენინურ განათლებაში.

მეტი ყურადღება უნდა ექცეოდეს პოლიტიკური სწავლების დამოუკიდებელი და პირველ რიგში სემინარული ფორმების შემდგომ განვითარებას. სრულიად არანორმალურია, რომ გასულ სასწავლო წელს სკკპ იმ წევრთა და წევრობის კანდიდატთა რიცხვიდანაც კი, რომლებსაც, როგორც წესი, აქვთ საჭირო მომზადება და ჩვეულებრივ წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობისათვის, ნახევარზე მეტი წრეებში მეცადინეობდა. არ უნდა დავიწყოთ, რომ სწავლების წრეობრივი ფორმებით გატაცება, მსმენელთა შემადგენლობაში ისეთ ადამიანთა ჩარიცხვა, რომლებიც მომზადებული არიან დამოუკიდებელი მუშაობისათვის, კადრების იდეურ-თეორიულ ზრდას აფერხებს.

საჭიროა, უკვე შეძენილ გამოცდილებაზე დაყრდნობით, კიდევ უფრო აქტიურად ჩავაბათ პარტიული განათლების სისტემაში სამეცადინოდ უპარტიო მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურეები; უფრო ფართოდ გამოვიყენოთ პოლიტიკურ განათლებაში ისეთი მასობრივი ფორმები, როგორიც არის ლექციები, მოხსენებები, თეორიული კონფერენციები, რომლებმაც სავსებით გაამართლეს თავიანთი დანიშნულება.

პარტიულმა კომიტეტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აპარატის **ხელმძღვანელი კადრების მარქსისტულ-ლენინურ მომზადებას.** ცნობილია, რომ ხელმძღვანელი კადრების იდეოლოგიური წრთობისადმი უდარდელმა დამოკიდებულებამ, რასაც წარსულში ადგილი ჰქონდა ტაჯიკეთის და ყირგიზეთის რესპუბლიკების, რიაზანის, ტულისა და მთელი რიგი სხვა ოლქების ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში, სერიოზული ზიანი მიაყენა საქმეს. საჭიროა რეგულარულად ეწყობოდეს ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკებისათვის, საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებების ხელმძღვანელებისათვის კონფერენციები, სემინარები, გასაუბრებანი კომუნისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე.

პარტიული კომიტეტების ვალია კიდევ უფრო ფართოდ ჩაებაბან ხელმძღვანელი კადრები პრაქტიკულ პროპაგანდისტულ მოღვაწეობაში.

პარტიული განათლების სისტემის მთელი მუშაობა მომავალ სასწავლო წელს უნდა წარმოებდეს იმის ნიშნით, რომ შემდგომ განმტკიცდეს პარტიული პროპაგანდის კავშირი ცხოვრებასთან, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა გადაიქცეს კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის კიდევ უფრო მძლავრ ფაქტორად. **წრეებსა და სემინარებში სკკპ XXII ყრილობის ისტორიული დოკუმენტების შესწავლა უნდა ყარგოეზდეს ცხოვრებასთან, მშრომელთა კოლექტივების საწარმოო საქმეებთან და კონკრეტულ ამოცანებთან მჭიდრო კავშირში,** თეორიული დებულებების არა მექანიკურად დახსომება, არამედ ღრმად გააზრება, მათგან პრაქტიკული დასკვნების გამოტანა — აი რა უნდა იდგეს პირველ პლანზე. პოლიტიკური მეცადინეობა მოწოდებულია ხელს უწყობდეს ყრილობის გადწყვეტილებათა პრაქტიკულ განხორციელებას, რაზმავდეს მშრომელებს კიდევ უფრო თავდადებული შრომისათვის კომუნიზმის გამარჯვების მისაღწევად.

გასულ სასწავლო წელს ზოგიერთ, განსაკუთრებით ეკონომიურ, წრეებსა და სემინარებში მეცადინეობა დაბალ იდეურ-თეორიულ დონეზე წარმოებდა, საკითხებს იქ განიხილავდნენ შეზღუდულად, პრიმიტიულად, საჭირო თეორიულ განზოგადებათა და დასკვნათა გაუკეთებლად. პარტიულმა ორგანიზაციებმა გაკვეთილები უნდა გამოიტანონ ამ ნაკლოვანებებიდან, განდევნონ პოლიტიკური განათლების პრაქტიკიდან პრიმიტივიზმი და გაუბრალოება.

ახალ სასწავლო წელს პარტიული განათლების წარმართება გადამწყვეტად იქნება დამოკიდებული პროპაგანდისტთა კადრების მოემზადების დონეზე. ეს საკითხთა საკითხია. ამჟამად განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია გავაკეთოთ პარტიული ორგანიზაციების „პროპაგანდისტთა ცენტრალური კომიტეტის 1961 წლის 5 მაისის დადგენილების განხორციელებისათვის.

საჭიროა პირველ რიგში უზრუნველყოთ პროპაგანდისტთა ყოველმხრივი მომზადება იმისათვის, რომ წრეებსა და სემინარებში ჩაატარონ მეცადინეობა სკკპ XXII ყრილობის მასალების მიხედვით. ახლა, როცა პროპაგანდისტთა კადრების რაოდენობრივი შემადგენლობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, მიზანშეწონილია ამ მუშაობას თავი მოვუყაროთ ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში, მსხვილ საწარმოებში. საჭიროა უახლოეს ხანში მოვაწყოთ პროპაგანდისტთა ორ-სამდღიანი საქალაქო, რაიონული სემინარები სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტების შესასწავლად. ასეთი სემინარები უნდა მოეწყოს აგრეთვე პარტიის XXII ყრილობის მუშაობის დამთავრებისთანავე. პროპაგანდისტთა სემინარების ჩატარებაში პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტებისათვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ და კიდევაც უნდა გაუწიონ სპეციალურმა პროპაგანდისტთა ჯგუფებმა, რომლებიც საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური ცენტრებიდან იქნებიან მივლინებულნი.

საოლქო, სამხარეო კომიტეტები, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები მოწოდებული არიან ჩაატარონ რაიონული პროპაგანდისტული სემინარების ხელმძღვანელთა საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური სემინარები: სექტემბერში — სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტებზე; ნოემბერში — სკკპ XXII ყრილობის დოკუმენტებზე. ამ სემინარებზე მიზანშეწონილია თვითეული ქალაქიდან და რაიონიდან მოვიწვიოთ პროპაგანდისტთა სემინარების ორ-ორი, ოთხ-ოთხი ყველაზე მომზადებული ხელმძღვანელი, დავასპეციალოთ თვითეული მათგანი თეორიული საკითხების გარკვეულ ჯგუფში.

უკვე მომუშავე პროპაგანდისტთა გადამზადებასთან ერთად ყველგან უნდა გავაჩაღოთ ახალ პროპაგანდისტთა რეზერვის მომზადება. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში დიდი როლი ეკუთვნის მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტებს და ქალაქის პროპაგანდისტთა ერთწლიან კურსებს, რომლებიც მეცადინეობას იწყებენ 1 სექტემბერს, აგრეთვე სოფლის პროპაგანდისტთა დაუსწრებელ კურსებს, რომლებიც მეცადინეობას იწყებენ 1 ოქტომბერს. მათი მუშაობა ისე უნდა მოვაწყოთ, რომ პროპაგანდისტთა არმია რეგულარულად შეივსებოდეს ახალი, მაღალკვალიფიციური კადრებით.

ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში ყველგან უნდა დაიწყოს **ორგანიზებულად** და **თავის დროზე** — 1 ოქტომბერს ქალაქებში და 15 ოქტომბერს სოფელ ადგილებში. სკკპ XXII ყრილობის მუშაობის დამთავრებამდე წრეებსა და სემინარებში უნდა წარმოებდეს მეცადინეობა პოლიტიკური განათლების მოცემული ფორმისათვის არსებული პროგრამებით, იმ ახლის გათვალისწინებით, რაც ამა თუ იმ თეორიული საკითხის გადაწყვეტაში შეიტანს სკკპ პროგრამის პროექტს, **ნოემბრიდან, თვით სასწავლო წლის დამთავრებამდე, პარტიული განათლების სისტემის ყველა რგოლი ახალი სასწავლო გეგმების საფუძველზე გადავა სკკპ ახალი პროგრამის, პარტიის ყრილობის დოკუმენტებზე დაფძნობილ თეორიული და პოლიტიკური პრობლემების შესწავლაზე.**

ყრილობის მასალების შესწავლა წრეებსა და სემინარებში დიფერენცირებულად იწარმოებს, მსმენელთა მომზადების დონისა და პოლიტიკური განათლების კონკრეტული ფორმების გათვალისწინებით. ამ მიზნით მზადდება სასწავლო გეგმების რამდენიმე ტიპი: დაწყებითი ეკონომიური სკოლებისა და წრეებისათვის; სკკპ ისტორიის, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების, მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი პოლიტსკოლებისა და წრეებისათვის; პოლიტეკონომიისა და კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი წრეებისათვის; მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის შემსწავლელი წრეებისათვის; სკკპ ისტორიის და მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელი თეორიული სემინარებისათვის, პოლიტეკონომიისა და კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი თეორიული სემინარებისათვის; დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, კომუნისტური აღზრდის, ეთიკის, ესთეტიკის, ათეიზმის საკითხების, ბუნებისმეტყველების ფილოსოფიური პრობლემების შემსწავლელი თეორიული სემინარებისათვის; სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის, მსოფლიო კომუნისტური, მუშათა, დემოკრატიული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხების შემსწავლელი თეორიული სემინარებისა და წრეებისათვის.

პარტიული განათლების სისტემაში პარტიის XXII ყრილობის ისტორიული დოკუმენტების შესწავლა დიდმნიშვნელოვანი პარტიული საქმეა. იგი პარტიული კომიტეტებისა და ორგანიზაციების შეუწყვეტელ ყურადღებას მოითხოვს. მათი პირველი რიგის მოვალეობაა უზრუნველყონ ახალ სასწავლო წელს ყველა პოლიტიკური წრისა და თეორიული სემინარის მუშაობის მაღალი იდეურ-თეორიული დონე. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ პარტიული განათლების სისტემას თვალსაჩინო ადგილი ეკუთვნის კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანის განხორციელებაში — ჩვენი პარტიის დიადი იდეები, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები მივიყვანოთ თვითეული მუშის, კოლმეურნისა და ინტელიგენტის, საბჭოთა საზოგადოების თვითეული მშრომელის შეგნებამდე.

24 აგვისტო, 1961 წ.

სურათებზე: ზემოთ — ბორჯომის წყლის ჩამოსხმელი ქარხნის მოწინავე მუშა ეთერ გვიმრაძე; ქვემოთ — თბილისის ქარხანა ელექტროგამშვების მხვეველი გულნაზი კვინიკაძე.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მიწა წყურვილს იკლავს

წყალთან არიან, წყალი არა აქვთო, — ამბობდნენ ამ ცოტა ხნის წინათ მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოს მოსახლეობაზე. შარშან კოლმეურნეობა „განთიადის“ პარტიული ორგანიზაციის კრებაზე სოფლის კომუნისტებმა გადაწყვიტეს სარწყავი არხის გამოყვანა. კომუნისტების მაგალითს მთელმა სოფელმა მიბაძა. და აი, არაგვის მარცხენა მხარეს თანდათანობით გაიჭიმა 9 კილომეტრი სიგრძის არხი.

ამას წინათ სოფელში დიდი ზეიმი იყო. არაგვიდან საგურამოში ახალი ტრასით სარწყავი წყალი მოვიდა. (საკ. კორ).

გავაძლიეროთ პარტიული პროპაგანდა

23-25 აგვისტოს თბილისში გაიმართა საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტების, საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების პოლიტიკური განათლების სახლებისა და კაბინეტების გამგეთა რესპუბლიკური თათბირი-სემინარი.

თათბირმა განიხილა სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტების ახსნა-განმარტებისათვის პოლიტიკური განათლების სახლებისა და კაბინეტების მუშაობის საკითხები.

თათბირის პირველ დღეს სკკპ პროგრამის პროექტის ძირითად საკითხებზე ლექციები წაიკითხეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისტთა ჯგუფის წევრებმა ამხანაგებმა ი. მ. ლიადოვმა, ბ. გ. სპოლნიკოვმა და ნ. ვ. პუხოვსკიმ.

მეორე დღეს თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს ლ. კეცხოველის სახელობის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის კოსულტანტების მოხსენებანი: ამხ. ა. მახარაძისა — „პოლიტიკური განათლების კაბინეტების საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობის შესახებ“ და ა. კესარაშვილისა „პოლიტიკური განათლების სახლებთან და კაბინეტებთან არსებული მეთოდური საბჭოების მუშაობის სპეციფიკა და ფორმები“.

მოხსენებათა გამო გაიმართა კამათი.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის პარტიულ ორგანიზაციასთან საზოგადოებრივ საწყისებზე პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგემ ამხ. ქ. ოტიაშვილმა უამბო თათბირის მონაწილეთა, თუ რა დიდ და მრავალფეროვან მუშაობას აწარმოებს კაბინეტი მშრომელთათვის სკკპ პროგრამის პროექტის ახსნა-განმარტების მ.-საწყობად.

ჩვენ პროპაგანდისტების, ლექტორების, აგიტატორებისა და აგიტკოლექტივთა ხელმძღვანელებისათვის, — თქვა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და სოხუმის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლის გამგემ ჯ. მონიამ, — შევიმუშავეთ მეთოდური სახელმძღვანელები სკკპ პროგრამის პროექტის ცალკეული საკითხების შესახებ, მოვაწყეთ ლიტერატურისა და მასალების გამოფენები.

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლთან არსებული პარტიული პროპაგანდის საკითხთა მეთოდური საბჭოს თავმჯდომარემ ვ. იაშინმა მეთოდური საბჭოს მუშაობის გამოცდილება გაუზიარა დამსწრეთ.

პოლიტიკური განათლების კაბინეტი, — თქვა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგემ ამხ. ბ. ფრუიძემ, — მრავალფეროვან მუშაობას აწარმოებს პროპაგანდისტებთან და აგიტატორებთან.

საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგემ ამხ. გ. ქერდიკოშვილმა და გალის რაიონის სოფელ საბერიოს კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის საზოგადოებრივ საწყისებზე პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგემ ამხ. ვ. ძიგუამ უამბეს თათბირის მონაწილეთ, თუ რა დახმარებას უწევენ პოლიტიკური განათლების კაბინეტები სოფლის პროპაგანდისტებსა და აგიტატორებს.

ყაპის ცემენტის ქარხნის პარტორგანიზაციასთან არსებული საზოგადოებრივ საწყისებზე პოლიტიკური **განათლების** კაბინეტის გამგემ ამხ. ო. კოვზირიძემ გააკრიტიკა მუშაობა თბილისის ტელესტუდიისა, რომელიც ძალიან ეშვიათად აწყობს გადაცემასა და ლექციას საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, ნაკლებ დახმარებას უწევს პროპაგანდისტებსა და აგიტატორებს.

საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ს. კვესელავამ და საქართველოს კომპარტიის ჩოხატაურის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგემ ამხ. შ. დოლიძემ საყვედური გამოთქვეს რესპუბლიკური ჟურნალებისა და გაზეთების რედაქციათა მიმართ, რომლებიც ნაკლებ ყურადღებას უთმობენ პარტიული პროპაგანდის მეთოდიკის საკითხებს. სუსტად სწავლობენ და ავრცელებენ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მოწინავე გამოცდილებას.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და სოხუმის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლთან არსებული მეთოდური საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ა. იომტოვმა და საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის მეთოდური საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ტ. რაქვიაშვილმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პოლიტიკური განათლების სახლის პოლიტიკური განათლების კაბინეტების მუშაობის ნაკლოვანებებზე, სუსტად ეწევიან ბრიგადებს, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ბრიგადებში ჩაწერილ ტრიბუნებს და განაგრძობს გზას...

კოლმეურნეობის ახალი შენობის წინ დგას გიორგი სიხაშვილი. აქვე არიან ვახო ვახტანგაშვილი და მექანიზატორთა ბრიგადის სხვა წევრებიც. ამ საღამოს პარტიული ორგანიზაციის კრებაა, პარტიის წევრობის კანდიდატად იღებენ კომკავშირის კომიტეტის მდივანს ნელი ტაბატაძეს. ბედნიერია ნელი, რადგან პარტიის XXII ყრილობას მის რიგებში ხვდება.

გიორგი სიხაშვილი უპარტიოა, მაგრამ დიდი სიყვარულით უყვარს მას მშობლიური კომუნისტური პარტია. პარტიის XXII ყრილობის სასახელოდ შეხვედრისათვის შრომობს იგი ასე თავდადებით.

მხოლოდ ასეთი სიყვარულია მკვიდრი და მტკიცე, რადგან მისი თესვები ცხოვრებაშია მძლავრად გადგმული.

თინა ზარგინავა.
ქარელის რაიონი.

გ. სიხაშვილი

• • •

ტყვას რა ფასი აქვს. მალე უნდა გამოჩნდეს დაბირებების შედეგი, შრომის ნაყოფი.

მდინარე ძამა ღელეებად და წყაროებად მოგდინება ქარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ველ-მინდვრებზე. რწყავს ნათესებს, აბრუნებს წისქვილის ქვებს, ძრავს უკოცნის ვენახებს, ზეხილს, სალამს უთვლის მის ნაპირებზე ჩამწკრივებულ ტრიფებს და განაგრძობს გზას...

კოლმეურნეობის ახალი შენობის წინ დგას გიორგი სიხაშვილი. აქვე არიან ვახო ვახტანგაშვილი და მექანიზატორთა ბრიგადის სხვა წევრებიც. ამ საღამოს პარტიული ორგანიზაციის კრებაა, პარტიის წევრობის კანდიდატად იღებენ კომკავშირის კომიტეტის მდივანს ნელი ტაბატაძეს. ბედნიერია ნელი, რადგან პარტიის XXII ყრილობას მის რიგებში ხვდება.

გიორგი სიხაშვილი უპარტიოა, მაგრამ დიდი სიყვარულით უყვარს მას მშობლიური კომუნისტური პარტია. პარტიის XXII ყრილობის სასახელოდ შეხვედრისათვის შრომობს იგი ასე თავდადებით.

მხოლოდ ასეთი სიყვარულია მკვიდრი და მტკიცე, რადგან მისი თესვები ცხოვრებაშია მძლავრად გადგმული.

თინა ზარგინავა.
ქარელის რაიონი.

შუქურები მესხეთის გულიდან

შახტის უფროსმა მიხეილ ხვთისიევმა მეშახტის ფორმა მოგვაწოდა, მეშახტის ლამპით, თვითმაშვლელით აღგვეჭურვა, და პირველი ჩაგვიძღვა შახტში.

სმენას ახშობს მიწისქვეშა ქარხნის გუგუნი, სალიანდაგო გზებს მიჰყვებიან ქვანახშირით, ხე-ტყით და სხვა მასალით დატვირთული ვაგონები.

ლავთან მნგრეველებს შევხვდით. მომნგრეველი ჩაქუჩის გრუხუნში, ღვარად წამოსული ქანების გრიალში საუბარი გვიძნელდება.

— ეს ბრიგადა, — გვითხრა შახტის უფროსმა, — კომუნისტური შრომის სახელის მოსაპოვებლად იბრძვის.

სახეგამურული მნგრეველი მოგვიახლოვდა. იგი გაგანოველი ბრიგადირი ბეჟან მსხვილაძე აღმოჩნდა. საკუთარ თავზე მორცხვი და სიტყვაძუნწია ბეჟანი, მაგრამ ჩვენს კითხვებს სად გაექცეოდა!

— ჩემი ბრიგადის წევრები,— გადმოგვცა მან, — ცნობილი დონბასელი მეშახტის ნ. მამაის მეთოდით მუშაობენ და ყოველდღიურად გეგმის ზევით 2,5-3 ტონა ქვანახშირს იღებენ. ასეთი გამართული მუშაობის შედეგია, რომ უკვე სექტემბრის ანგარიშში ვმუშაობთ, ხოლო სკკპ XXII ყრილობის გახსნის დღისათვის წლიურ დავალებას გავანაღდებთ.

ახალციხის № 1 შახტის ყველა უბანზე შეხვდებით შვიდწლედის შუქურებს. საექსპლოატაციო უბანი, რომელსაც სამთო საქმის ოსტატი კომუნისტი ანდრო ჩაჩხიანი ხელმძღვანელობს, უკვე დიდი ხანია სექტემბრის ანგარიშში იღებს პროდუქციას.

ანდრომ ქებით მოიხსენია შავი ოქროს მთებთან შებმული მთებივით მედგარი და გაუტეხავი მნგრეველები მოლდაველი პ. ჩოლანი, ქართველი ი. აბრამაშვილი, სომეხი ა. ცურმუტიანი და სხვები. აბა მათ უნდა იამაყონ, რომ უკვე მომავალი წლის ანგარიშში მუშაობენ.

ახალ სამთო გამონამუშევრებში ხის ბოძებს დგამდნენ გამმაგრებლები ს. ლომიძე, ა. ხარაიშვილი, ვ. ავეტისიანი და სხვები. მათ სათავეში უდგათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ნოვატორი მეშახტე ბიკენტი ტეფნაძე. ბიკენტი ექვს პროფესიას ფლობს. მადნის ფენის თავისებურებებში, ჭერის მართვასა და გამაგრებაში საუკეთესოდ ერკვევიან მისი თანამოსაქმეებიც. ასეთი გამართული მუშაობის შედეგია, რომ ბრიგადა უკვე ოქტომბრის ანგარიშში მუშაობს. ხოლო თვითეული მუშის ყოველთვიური გამომუშავება 250-300 მანეთს აღწევს.

სკკპ XXII ყრილობის შესახვედრად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობენ კომუნისტ სტეფანე აფრიამაშვილის გამყვანთა კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები. წინათ აქ სანგრევი ხაზის ყოველთვიური წინწაწევა 25 გრძივ მეტრს არ აღემატებოდა, ახლა კი მოწინავეთა გამოცდილების დანერგვით, შრომის სწორი ორგანიზაციით ყოველთვიურად 60-70 გრძივი მეტრი სამთო გამონამუშევარი გაჰყავთ.

შახტში არც ერთი ჩამორჩენილი უბანი, ცვლა და ბრიგადა არ არის. შახტის კოლექტივმა უკვე დიდხანია შეასრულა სათბობის ამოღების რვა თვის გეგმა, სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა რამდენიმე ასეული ათასი ტონა ქვანახშირი. 2,2 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით გაწეულია 9 ათასი მანეთის ეკონომია.

შახტის უფროსს არც ახალი ვალდებულებებისა და მომავლის პერსპექტივების გაცნობა ავიწყდება.

პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად, — გვეუბნება იგი, — ვალდებულება ვიკისრეთ ათი თვის გეგმა შევასრულოთ ყრილობის გახსნის დღისათვის, ხოლო წლიური დავალება — 5 დეკემბრისათვის.

როცა შახტიდან გამოვედით, უკვე დაღამებულიყო. ვარსკვლავებით მოჭიქულ ცას უღიმოდა მეშახტეთა გმირული შრომის სიმბოლო — კოშკურაზე მოჩახჩახე ვარსკვლავი. მას არასდროს არ ჩაქრობენ მესხეთის გულის სახელოვანი სამთოელები — შვიდწლედის შუქურები.

ჰ. ხვადაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: ახალციხის № 1 შახტის გამყვანთა კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები (მარცხნიდან) ვ. ლიტკინი, ვ. მაჭარაშვილი, ა. სმოროდინი, ე. სეროვანი, ა. კაპანაძე, ხ. აფრიამაშვილი და ს. თათეშვილი.

ИЗВИСРЕЗ, ШЕАСРУЛЕС

თეთრი წყაროს (ტელეფონით სპეც. კორ.). — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის გახსნის დღისათვის სახელმწიფოს მივაყენეთ 5 ათას ცენტნერ რძეს — 80 ცენტნერით მეტს, ვიდრე წლიური გეგმა ითვალისწინებს! ასეთი ვალდებულება იკისრა თეთრი წყაროს რაიონის მეზორეობა-მეძროვეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი გ. ბილიაევი, პარტკომის მდივანი ი. აფციაური) კოლექტივმა.

იკისრეს და დაძაბული შრომის შედეგად პირობა უკვე შეასრულეს. სახელმწიფოს მიჰყიდეს 5 ათასი ცენტნერი რძე.

მეურნეობის კოლექტივი ამ მიღწევებით როდი კმაყოფილდება. ვალდებულება იკისრა სკკპ XXII ყრილობის გახსნის დღისათვის სახელმწიფოს დამატებით კიდევ მიჰყიდოს ორი ათას ცენტნერზე მეტი რძე.

ვ. ულბრიხტის გამოსვლა

წინასაარჩევნო მიტინგზე ბერლინში

ბერლინი, 25 აგვისტო. (საკდესი). დღეს ბერლინში ახალგაზრდობისა და სპორტსმენთა ცენტრალურ კლუბ „სპორტპალაცში“ გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელთა მიტინგი იმასთან დაკავშირებით, რომ 17 სექტემბერს მოეწყობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნები. მიტინგზე გერმანიის ეროვნული სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ულბრიხტმა წარმოთქვა სიტყვა, რომელიც გადაცემული იყო რადიოთი და ტელევიზიით.

უკანასკნელმა რამდენიმე კვირამ, თქვა ულბრიხტმა, ცხადყო, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და განსაკუთრებით ძისი დედაქალაქის მოსახლეობამ გადაიტანა ისტორიული განსაცდელი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკაც, რომელიც „გაეოთიანებულია ჩვენს მოკავშირეებთან, ძძლავრ საბჭოთა კავშირთან და ვარშავის ხელშეკრულების ოთხასწლიან სახალხო-დემოკრატიულ სახელმწიფოებთან, და უწინარეს ყოვლისა დედაქალაქის მოსახლეობამ ღირსეულად გაუძლო ამ განსაცდელს.

ჩვენი ისტორიული ეროვნული ამოცანა, ჩვეი პარტიისა და მთავრობის და დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ამოცანა, განაგრძო ვ. ულბრიხტმა, ხოფნვა იმისათვის, რომ გერმანიის ტერიტორიიდან აღარასოდეს არ დაიწყოს ახალი ომი, და ჩვენ არ უხდა დავიმუროთ ძალღონე, რათა ეევნარჩუნოთ მშვიდობა ივენს ხალხს.

ჩვეხმა ღონისძიებებმა გერმანიის დემოკოატიული რესპუბლიკის დედაქალაქის უბიშროების უზრუნველსაყოფად დიდი სარგებლობა ძოუტახა ძშვიდობის საქმეს. გერძანიის საკითხი გამოვიდა დასავლეთის „ცივი ომის“ პროპაგანდის ბურუსიდან. გერძანული მილიტარიზმისა და ნაციზმის არსი და მიზეები გასაგები გახდა ძთელ მსოფლიოში. გასაგები გახდა, რომ გერძანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ოოდი იმყოფება კრიზისის მდგომაოეობაში, როგორც წარმოდგენილი აქვს ზოგიერთ ადამიახს. გერმახიის დემოკრატიული რესპუბლიკა ძტკიცედ დგას ფეხზე, ხოლო კრიზისი ბოუანლოვდა ბონის მთავრობის, დასავლეთ ბერლიხისა და დასავლეთ გერმანიის „ულტრების“ რევანშისტულ პოლიტიკას.

დასავლეთის სახელმწიფოთა ყველა პოლიტიკოსი, თქვა შემდეგ ულბრიხტმა, ახლა ლაპარაკობს მოლაპარაკების საჭიროებაზე. მაგრამ ისინი არ ამბობენ, თუ რაზე სურთ აწარმოოთ ეს მოლაპარაკება. ბონძი არიან ისეთი ხელძძღვანელი პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც მოლაპარაკებას მოითხოვენ იმიტომ, რომ ხელი შეუშალონ საზავო ხელშეკრულების დადებას. ვითვალისწინებთ რა ოოძ უკვე ორნახევარი წელი გავიდა მას შემდეგ რაც საბჭოთა მთავრობამ გააკეთა წინადადება საზავო ხელშეკრულების შესახებ, ვითვალისწინებთ რა აგრეთვე იმას, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის რევანშისტული პოლიტიკისა და დასავლეთ გერმანიის დაჩქარებული შეიარაღების შედეგად მსოფლიო სულ უფრო მეტ საფრთხეს განიცდის, აღარ შეიძლება კვლავ გადაიდოს საზავო ხელშეკრულების დადებამდე.

საზავო ხელშეკრულების დადებამდე, თქვა ვ. ულბრიხტმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მზად იყო და არის დაიცვას 1955 წლის 20 სექტემბრის შეთანხმება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე დასავლეთის სამი სახელმწიფოს დასავლეთ ბერლინის გარნიზონის მოსამსახურეთა სატრანზიტო სატრანსპორტო კავშირისადმი კონტროლის შესახებ.

ვ. ულბრიხტმა აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მზად არის თავისუფალი დემილიტარიზებული ქალაქის სტატუსის საპირო გარანტიები მისცეს დასავლეთ ბერლინს და ხაზი გაუსვას, რომ ეს გარანტიები ცალმხრივი არ უნდა იყოს. ჩვენ აგრეთვე უფლება გვაქვს, შენიშნა მან, მოვითხოოთ ჩვენი მოსახლეობისათვის მყუდრო და მშვიდობიანი ცხოერების გარახტიები, იმის გარანტიები, რომ დასავლეთი ბერლინი არ გამოიყენონ როგორც ცენტრი ძირგამომთხრელი საქმიანობისა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ, რომ დასავლეთ ბერლინში აღმოიფხვრას ყველაფერი, რაც წამლავს საერთაშორისო ატმოსფეროს და რაც იწვევს მუდმივ საფრთხეს მშვიდობისათვის.

შემდეგ ვ. ულბრიხტი შეეხო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალისტური მშენებლობის საკითხებს.

მიტინგის მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ვ. ულბრიხტის ცნობას, რომ 1 სექტემბერს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩამოვა გმირი კოსმონავტი გერმანე ტიტოვი.

ჩინელების სალამი

პეკინი, 25 აგვისტო, (საკდესი). საბჭოთა კავშირში მეშახტის დღის დღესასწაულის წინ სიხუას სააგენტოს კორესპონდენტი იყო ტახშანში (ხეპეის ქროვინცია) კაილუანის ქვანახშირის მაღაროებში, რომლებიც სიდიდით მეორეა ჩინეთში. ამ მაღაროების ხუთ შახტში შუშობს 60 ათასი კაცი.

ლინსის შახტში, წერს კორესპონდენტი, ჩვენ შევხვდით წარმოების მოწინავეს, ჩინეთის წარჩინებულ მეშახტეს ძი დეს. მას გვთხოვა გულითადი მილოცვა და საუკეთესო სურვილები გადავცეთ საბჭოთა მაღაროელებს.

ძი დეს მადლიერებით ძოიგონა საბჭოთა ოეგობრები, მათი დახმარება, სიყვარულით ილაპარაკა კუზბასის მოწინავე მეშახტეებზე, რომლებიც იყვნენ კაილუანში და პრაქტიკული გამოცდილებით და ძვირფასი რჩევით დაეხმარნენ მას მუშაობის გაუმჯობესებასა და ქვანახშირის კომბაინის ათვისებაში.

წარმოებაში დიდ ცვლილებებთან ერთად მკვეთრად შეიცვალა კაილუანელ მეშახტეთა ცხოერებაც. აშენდა ახალი მუშათა დაბები. რვა წლის მანძილზე კაილუანის შახტსამმართველომ მეშახტეებისათვის აუშენა 440 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

საამური გახდა კაილუანის მეშახტეთა შრომა, და დღეს — საბჭოთა კავშირის მეშახტეთა დღის წინ, წერს სინხუას საუგენტოს კორესპონდენტი, ისინი ამხანაგურ სალამს უთვლიან საბჭოთა მეგობრებს.

ბონის „ულტრების“ რევანშისტული პოლიტიკის კრიზისი გუნდესვერის ტანკები ინგლისში

ტუნისი არ დათმოგს გიზერტას

ტუნისი, 25 აგვისტო, (საკდესი). ტუნისის ნავსადგურში ჩამოვიდა საბჭოთა

საბჭოთა ხალხის საჩუქარი

გემი „შახტი“, რომელმაც ჩამოიტანა სამი ათასი ტონა ხორბალი და 250 ტონა ბარდა — საბჭოთა ხალხის საჩუქარი ალჟირელი ლტოლვილებისა და დაჭრილებისათვის. დღეს დილით გემზე გაიმართა ალჟირელი წარმომადგენლებისათვის საბჭოთა საჩუქრის გადაცემის ცერემონია. ალჟირის მხრივ ცერემონიას დაესწრნენ ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივნის მოვალეობის ამსრულებელი ბელკუსეინი, ალჟირის წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების თავმჯდომარე ბენ ბაპმედი, ტუნისში ალჟირის მისიის მეთაურის თანამემწე ბუზიდა. საბჭოთა კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის სახელით ალჟირის მხარისათვის საჩუქრის გადაცემის ცერემონიაზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის ელჩმა კ. მ. ყულიევმა.

„ჩვენი მთავრობისა და ხალხის სახელით, — განაცხადა ბელკუსეინმა, მიიღო რა საბჭოთა კავშირის საჩუქარი, — გულწრფელ მადლობას ვუცხადებ საბჭოთა მთავრობასა და ხალხს, აგრეთვე საბჭოთა კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირს იმ დახმარებისათვის, რომელსაც ისინი კვლავ უწევენ ჩვენს ლტოლვილებსა და დაჭრილებს. სიხარულით აღვნიშნავ, რომ ეს საჩუქარი საბჭოთა კავშირის პირველი საჩუქარი როდია ჩვენი ხალხისათვის. ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა მთავრობა და ხალხი ყოველთვის ჩვენს მხარეზე არიან დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ყველა დარგში — პოლიტიკურ, დიპლომატიურ და მატერიალურ დარგებში — ჩვენი ხალხი ყოველთვის გრძნობს საბჭოთა კავშირის მხარდაჭერასა და დახმარებას. საბჭოთა კავშირი ყოველთვის უჭერდა მხარს ხალხებს, რომლებიც თავიანთი დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან, და მათ შორის ალჟირელ-ხალხსაც. აი ამიტომ ალჟირელი ხალხის, ისევე როგორც სხვა აფრიკელი ხალხების, სიმპათია საბჭოთა კავშირის მხარეზეა“.



დასავლეთ ბერლინში გადასასვლელი ერთ-ერთი პუნქტი.

სწორი განკარგულება

ბერლინი, 26 აგვისტო. (საკდესი). ადნის სააგენტო იუწყება: სოციალისტური წყობილების სიძტკიცისა და მოკალაქეთა მშვიდობიანი შრომის უზრუნველყოფის ინტერესებისათვის და მშვიდობის დაცვის შესახებ სახალხო პალატის 1961 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილების შესაბამისად გერმახიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ გამოაქვეყნა განკარგულება, რომლის შესაბამისად განსაკუთრებულ შემთხვევებში, ან სასამართლოს დადგენილების საფუძველზე, ან დასჯის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების დამატებით, ან სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მოთხოვნით შეიძლება გაიცეს განკარგულება ბინადრობის უფლების შეზღუდვის შესახებ. ეს განკარგულება ბინადრობის უფლების შეზღუდვის შესახებ შეიძლება გაიცეს იმ შემთხვევაში, თუ გარკვეულ პირთა გაძევება გარკვეული რაიონებიდან ან დასახლებული პუნქტებიდან საჭიროა საზოგადოების, მისი უშიშროებისათვის.

იმისათვის, რომ აღიკვეთოს ისეთი მდგომარეობა, როცა ელემენტები, რომლებსაც არ სურთ იშრომონ, სარგებლობ ა ს იღებენ მშრომელთა ხარჯზე, განკარგულება ითვალისწინებს, რომ ბინადრობის უფლების შეზღუდვა უნდა დაუკავშირდეს შრომითის აღზრდას.

ამ განკარგულების გამოყენება, რომელიც ძალაში შედის 1961 წლის 25 აგვისტოს, გაუადვილებს ადამიანებს, რომლებიც აღმოჩნდნენ დასავლეთგერმანელი და დასავლეთბერლინელი ექსტრემისტების ფსიქოლოგიური ომის გავლენაში, წესიერი ცხოვრების, შრომის გზა.

ტელეგრაფი გვატყობინებს

აფეთქება ამერიკის ქარხანაში

ლონდონი, 26 აგვისტო. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, გუშინ ალიერი აფეთქების შედეგად დაინგრა ქარხანა, რომელიც აწარმოებს რაკეტულ სამბობს. ეს ქარხანა მეოილენდის შტატშია და ეკუთვნის ამერიკის შეერთებული შტატების სამხედროსაზღვაო ძალებს. აფეთქების დროს დაიღუპა ხუთი კაცი.

წყალდიდობა ტაილანდში

ბანგკოკი, 25 აგვისტო. (საკდესი). კოკისპირულმა წვიმებმა უეცარი წყალდიდობა გამოიწვიეს ტაილანდის ჩრდილოეთ და დასავლეთ ნაწილში. ამ წვიმებმა ჩამორეცხეს გზატეცილები, რკინიგზები და ხიდები. ბევრ რაიონში ციმოსვლა შეწყდა.

წყალდიდობამ დიდი ზარალი მიაყენა მოსახლეობას. მარტო ლამპანის პროვინციაში დაზარეულია რამდენიმე ათასი სახლი.

ადგილობრივი პრესა იუწყება, რომ წყლის დონე ჩრდილო-დასავლეთ პროვინციებში კვლავ მატულობს; შიშობენ, რომ ეს წყალდიდობა თავისი მასშტაბით, შესაძლოა, გადააჭარბებს ყველაზე საშინელ წყალდიდობას, რომელიც აქ მოხდა 20 წლის წინათ.

ბოლოს

დაუპატიჟებელი სტუმრები

ლონდონი, 25 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ა. მელეჟანი იუწყება: დღეს ინგლისი ჩამოვიდა ბუნდესვერის 84-ე სატანკო ბატალიონის პირველი ჯგუფი 51 ჯარისკაცისა და ოფიცრის შემადგენლობით, რომელიც სამი კვირის განძავლობაში სამხედრო მომზადებას გაივლის კასლმარტინის (პემბრუკშირი) ბაზაში. თავდაპირველად ნავარაუდევი იყო, რომ ორი თვითმფრინავი დასავლეთგერმანელ ჯარისკაცებიანად დაეშვებოდა ბროუდში (პემბრუკშირი). მაგრამ პირდაპირ უკანასკნელ წუთებში გადაწყდა „ცუდი ამინდის გამო“ შეეცვალათ თვითმფრინავების კურსი და დასავლეთგერმანელ ტანკისტთა ეს პირველი პარტია მიეღოთ იქ, სადაც მათ არ მოელოდნენ, — ლინკპემში (უელტშირი), 200 მილზე კასლმარტინიდან.

კასლმარტინის სამხედრო ბაზაში ღამის საფარით დასავლეთგერმანელ ტანკისტთა ეს თავისებური კოხტრაბანდიული ჩაყვანა, როგორც ჩანს, უნდა მივიჩნიოთ სიფრთხილის ერთ-ერთ ღონისძიებად, რომლებიც იხგლისის ხელისუფლებმა მიიღეს, რათა დღეს თავიდან აეცილებინათ ინგლისელ პატრიოტთა საპროტესტო დემონსტრაცია, რომლებიც სრულიადაც არ აპირებენ პუო-მარილით შეხვდნენ დაუპატიჟებელ სტუმრებს.

ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ჯონსონი: „დასავლეთ ბერლინში დემოკრატიის ნაყოფი ვნახე“.

(ნოიეს დოიჩლანდი, გდრ).

კუადროსი გადადგა

ნიუ-იორკი, 26 აგვისტო. (საკდესი). რიო-დე-ჟანეიროდან მიღებული ცნობებით, ბრაზილიის პრეზიდენტი ჟანიო კუადროსი გუშინ გადადგა. კუადროსმა თავისი გადაწყვეტილება იმით დასაბუთა, რომ ზეგავლენასთან დაკავშირებით, რომელსაც მასზე ახდენდნენ „ბრაზილიის შიგნით და გარედან“, იგი ვერ განაგრძობს თავის ღონისძიებებს თავისი ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად.

ზეგავლენამ უოლ-სტრიტისა და ვაშინგტონის მხრივ, უეჭველია, შეასრულა როლი ბრაზილიის პრეზიდენტ ჟანიო კუადროსის გადადგომაში.

სულ ერთი თვის წინათ პრეზიდენტმა კუადროსმა საჯაროდ დაგმო ამერიკის ძეეოთებული ძტატების ელჩი ბრაზილიაში კეიტი, რომელიც ცდილობდა ეკარნახა საგარეო პოლიტიკა ბრაზილიისათვის. კუადროსმა თქვა, რომ ბრაზილია არ ცნობს ვისიმე უფლებას... ჩაერიოს მის საქმეებში“. ძაგრამ ჩარევა გრძელდებოდა და პრეზიდენტის გადადგომით დამთავრდა.

პრეზიდენტის პოსტის დაკავების შემდეგ კუადროსმა სცადა განეხორციელებინა ვამინგტონისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკა, რითაც ამერიკის ფინანსური და პოლიტიკური წრეები მტრად გადაიკიდა. გასულ კვირაში გაზეთი „ნიუ-იორკ ჰოსტი“ წერდა, რომ „თავისი საგარეო პოლიტიკით, მას ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა დაძაბულობის მდგომარეობაში ჰყავდა“.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ სარედაქციო სტატიაში ჩიოდა, რომ პრეზიდენტი კუადროსი „ცხადყოფს ჯიუტ დამოუკიდებლობას, რომელმაც ბევრი ჩრდილოამერიკელი შეაშფოთა“. ჰერსტის პრესა კი მოითხოვდა გამოეყენებინათ ეკონომიური სანქციები, რათა დაესაჯათ ბრაზილია იმისათვის, რომ იგი ცდილობდა დამოუკიდებელი ყოფილიყო.

ვაშინგტონის განსაკუთრებული უკმაყოფილება გამოიწვია კუადროსის მთავრობის უარმა მხარი დაჭერა ამერიკის შეერთებული შტატების მანევრებისათვის ტუნის წინააღმდეგ, აგრეთვე ბრაზილიის მთავრობის ღონისძიებებმა, რომელთა მიზანი იყო საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის ნორმალიზაცია.

პრეზიდენტის გადადგომის შესახებ განცხადებაში კუადროსი არ ამბობს, თუ რა ფორმის იყო გარედან ზეგავლენა. მაგრამ ეჭვი არ არის, რომ გავლენა მარტო ეკონომიური არ ყოფილა და რომ ალენ დალესის ცენტრალურმა დაზვერვის სამმართველომ, როგორც ჟოაუყო კუბაში შეჭრა და გვატემალის რეაქციული გადატრიალება, თავისი როლი შეასრულა ამაში.

შინაურმა რეაქციამ, რომელსაც სათავეში უდგას გუანაბარის შტატის გუბერნატორი ლასერდა, პრეზიდენტ კუადროსზე თავდასხმის უშუალო საბაბად გამოიყენა კუბის მრეწველობის მინისტრის ერნესტო გევარას დაჯილდოება ბრაზილიის უმაღლესი ორდენით

ბრძოლეგი ალჟირში

პარიზი, 25 აგვისტო. (საკდესი). როგორც პარიზის პრესა იუწყება, ამჟამად ალჟირის ეროვნულ-განმთავისუფლებელი არმიის რაზმებსა და საფრანგეთის ჯარებს შორის სასტიკი ბრძოლებია დაბა ბუ საადის (ალჟირის დეპარტამენტი) ახლოს. ქალაქ ბლიდის რაიონში შეტაკებათა შედეგად მოკლულია სამი ფრანგი ჯარისკაცი. სეტიფის რაიონში ალჟიელმა პატრიოტებმა იერიში მიიტანეს საფრანგეთის სამხედრო საგუშაგოზე, მოკლეს ოფიცერი და დაჭრეს ორი ჟანდარმი.

კონგრესი დაეთანხმა კუადროსისა და მისი მთავრობის წევრების გადადგომას. ვიცე-პრეზიდ ე ნ ტ გულარტის დაბრუნებამდე, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, პრეზიდენტის მოვალეობა დაეკისრა დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეს რ. მაძიელს.

უკანასკნელი ცნობებით, კუადროსის მოულოდნელი გადადგომის შემდეგ ბრაზილიაში დაბაბული მდგომარეობა შეიქმნა. რეაქციის მანევრების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად „ლეოპოლდინის“ კომპანიის რკინიგზელებმა დაიწყეს გაფიცვა, რომელიც მოედო გუანაბარის, მინასჟერაისის და ესპირიტო-სანტოს შტატებს. პოლიტიკას, რომელსაც კუადროსი ახორციელებდა, მხარი დაუჭირეს პროფკავშირებმა.

რიო-დე-ჟანეიროში გაიმართა დემონსტრაციები ლოზუნგებით „გაუმარჯოს კუადროსს, ძირს ლასერდა!“. სტუდენტებმა მინები ჩაამტვრიეს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში.

იუწყებიან, რომ კუადროსის გადადგომის გამო უკმაყოფილება გამოთქვა ბრაზილიის არმიამაც.

ბელგრადის მომავალი კონფერენცია

ბელგრადი, 25 აგვისტო. (საკდესი). გაზეთმა „ბორბამ“ გამოაქვეყნა იუგოსლავიის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნის მოადგილის ლეო მატესის განცხადება ამ გაზეთის თანამშრომლისადმი მიუძღვნილი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მომავალი კონფერენციის გამო.

განცხადებაში ნათქვამია, რომ კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებს 24 ქვეყანა —ავღანეთი, ალჟირის რესპუბლიკა, ბირმა, კამბოჯა, ცეილონი, კუბა, კვიპროსი, ეთიოპია, განა, გვინეა, ინდოეთი, ინდონეზია, ერაყი, ირანი, ლიბანი, მალი, მაროკო, ნეპალი, საუდის არაბეთი, სომალის რესპუბლიკა, სუდანი, ტუნისი, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, იემენი და იუგოსლავია. სამი ქვეყანა — ბრაზილია, ბოლივია და ეკვადორი — მეთვალყურეებს გაგზავნის კონფერენციაზე.

გარდა ამისა, თქვა მატესმა, კიდევ მთელმა რიგმა ქვეყნებმა გამოთქვეს სურვილი — მიიღონ მონაწილეობა კონფერენციის მუშაობაში, რაზეც ამჟამად მიმდინარეობს კონსულტაციები. განზრახულია, რომ ბელგრადის კონფერენციის დელეგაციათა შემადგენლობაში იქნება 300-ზე მეტი კაცი. კონფერენცია, მატესის სიტყვით, 4-5 დღეს გაგრძელდება.

ძველ პოზიციაზე

ვაშინგტონი, 24 აგვისტო. (საკდესი). სახელმწიფო დეპარტამენტმა პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა ტექსტი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის განცხადებისა სათაურით „ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ. მშვიდობის ჭიშკარი“. როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა აღნიშნა, განცხადებაში ჩამოყალიბებულია შეერთებული შტატებისა და ინგლისის პოზიცია ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის საკითხში „საბჭოთა კავშირის პოზიციის საერთაშორისოდ“.

ამ დოკუმენტში, რომელიც აღსავსეა მაღალფარდოვანი სიტყვებითა და გამოთქმებით და დეკლარაციული მოწოდებებით „დამყარდეს მშვიდობა დედამიწაზე“, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ფარისეელურად აცხადებს, რომ იგი ესწრაფვის ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის პრობლემის რაც შეიძლება მალე გადაჭრას, ძაგრამ არსებითად იცავს თავის ძველ მიუღებელ წინადადებებს ყველა სადავო საკითხში, რომლებიც გამოვლინდა ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე სამი სახელმწიფოს ჟენევის თათბირის მსვლელობაში.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა განცხადებაში არ აყენებს რაიმე ახალ კონსტრუქციულ წინადადებას და ბოლოდ ცდილობს საეკვო გახადოს საბჭოთა წინადადებების ეფექტიანობა, რომლებიც ითვალისწინებენ თანამედროვე საერთაშორისო ცხოერების რეალურ ფაქტებს და რომელთა ძიზანია დიდხანშენელოვანი საერთაშორისო პრობლემის უსწრაფესად გადაჭრა. განცხადებაში, კერძოდ, კვლავ გამეორებულია ძველი ძტკიცება, თითქოს სსრ კავშირის წინადადება, რომ შეიქმნას კოლეგიტიური აღმასრულებელი ორგანო ადმინისტრაციული საბჭოს სახით სახელმწიფოთა სამი ძირითადი ჯგუფიდან, რომლებიც ამჟამად არსებობენ ყსოფლიოში, თითოეულის თანასწორუფლებიანი წარმომადგენლებისგან, ნიშნავს ვეტოს უფლებას, თუმცა სწორედ საბჭოთა წინადადება უზრუნველყოფს მხარეთა არა ფორმალურ, არამედ რეალურ თანასწორობას ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის ხელშეკრულების განხორციელების დროს. ამერიკის მთავრობა განცხადებაში კვლავ იცავს დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებას, რომ შეიქმნას ერთპიროვნული ადმინისტრატორის პოსტი და გადაეცეს მას მთელი აღმასრულებელი ძალაუფლება. ყველაფრის მიხედვით, ამ დოკუმენტის გამოქვეყნება წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ახალ ცდას — საბჭოთა კავშირს დააბრალოს ჩიხი, რომელიც შეიქმნა სამი სახელმწიფოს თათბირზე ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხის შესახებ.

ქურდებს — დახვრეტა

მოსკოვი, 24 აგვისტო. (საკდესი). „რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახელით... „თავმჯდომარე რუსეთის სფსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი მ. ა. გავრილინი აქვეყნებს განაჩენს დამნაშავეების — სახალხო დოვლათის დამტაცებლების ჯგუფის საქმეზე.

საბრალდებულო სკამზეა 12 კაცი. მთავარი მტაცებელია ყოფილი მოფერი ა. ვ. კონიუხოვი. ჩვენი სახელმწიფოს ჰუმანურმა კანონებმა ამ ქურდს მოხსნეს სამი ნასამართლობა ქურდობისათვის. მაგრამ მან კვლავ მიაყო ხელი ძველ საქმეს.

განიზრახა რა ახალი დანამაული, მან დაიწყო მუშაობა ბოსკოვის რკინიგზის საავტომობილო ტრესტის № 5 ავტობაზის „მოფერ-ექსპედიტორად, და მიმდინარე წლის თებერვალში „რუსეთის ტექსტილეკონომიის“ მოსკოვის „ძალეულის ბაზაში მოიპარა სამი კონტეინერი მილონ ნახევარი მანეთის (ძველი ფულით) ღირებულების ქსოვილი. დამნაშავეებ ხანარეცი შეიხახა თავის ფარდულში ქალაქ ლიუბლინოში.

შემდეგ ამბები განვითარდა ასე. ქურდრეციდივისტს უნდა გაესაღებინა ხაკურდალი. მას ამ საქმეში „დაეხმარნენ“ ძ. ს. სუხალე

სკვირიდან სკვირამდე

შეხვედრამდე

როგორც ვიუწყებოდით, თბილისში ჩამოვლენ მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში გროსმაისტერი მიხეილ ბოტვინიკი და საერთაშორისო გროსმაისტერი სალო ფლორი.

გროსმაისტერებ ი ს ამერიკაკვასიაში გამგზავრების წინ, ჩვენი კორესპონდენტი ო. ლორთქიფანიძე ეწვია მიხეილ ბოტვინიკს და საუბარი ჰქონდა მასთან.

შეკითხვაზე, რომელ ქალაქებს ეწვევა ბოტვინიკი და როგორია მოგზაურობის მიზანი, მსოფლიოს ჩემპიონმა განაცხადა:

— მე და სალო ფლორი სექტემბრის პირველ რიცხვებში ჩავალთ ბაქოში, შემდეგ ერევანში და ბოლოს — თბილისში. როგორც ცნობილია, არსებობს სსრ კავშირის ჭადრაკო ფედერაციის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც ყოველი საბჭოთა გროსმაისტერი მოვალეა წელიწადში 15 დღე ადგილობრივ მოჭადრაკეებს მიუძღვნას, წაიკითხოს ლექციები, მოაწყოს ერთდროული თამაშის სეანსები. ეს გადაწყვეტილება სავსებით სწორია და მე სიამოვნებით ვიღებ მონაწილეობას ასეთ მოგზაურობაში.

— ყოფილხართ თუ არა თბილისში?

— არა, თბილისში არასოდეს არ ვყოფილვარ. როდესაც შემომთავაზეს გამგზავრება, უყოყმანოდ ამიერკავკასია ავირჩიე, უფრო კი თბილისი. ამიტომაც თქვენი დედაქალაქი მოგზაურობის ბოლოსათვის შემოვინახე. თბილისში ჩამოვალ რვა ან ცხრა სექტემბერს. ბევრი რამ კარგი მსმენია თქვენს შესახებ. ნამყოფ ქალაქზე, განსაკუთრებით ჩემ თანამგზავრ ფლორისაგან. ჩვენ გამოვალთ ლექციებით და ჩავატარებთ სეანსებს. მე საათით 8 დაფაზე ვითამაშებ, ხოლო ფლორი ერთდროულად 30 დაფაზე.

— აპირებთ თუ არა მონაწილეობის მიღებას რომელიმე შეჯიბრებაში?

ამ წელიწადს ბევრი ვითამაშე, ახლა ვუბრუნდები ინსტიტუტს, სადაც საინტერესო მეცნიერული სამუშაო მომელის. წელს არ ვითამაშებ, მომავალში კი ვნახოთ.

— როგორ გგონიათ, ვინ იქნება მომავალი პრეტენდენტი?

— ამაზე პასუხის გაცემა ძნელია. მსოფლიოს წამყვანი გროსმაისტერების მომზადების თეორიული დონე იმდენად მაღალია, რომ ჩემი მხრიდან ვისიმე გამოყოფა და ვგვარის დასახელება არასწორი იქნებოდა.

— თუ ასეა, ხომ არ შეიძლება დავუშვათ შემხვედვითობა წამყვან გროსმაისტერების შეხვედრების შედეგებში?

— არავითარ შემთხვევაში. გაიმარჯვებს ის, ვინც უკეთ გრძნობს თავს, ვინც უკეთ არის მომზადებული როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად. მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტები: ბრონშტეინი, სმისლოვი, ტალი საუკეთესოდ იყვნენ მატჩების წინ მომზადებულნი და თუ გადავალენ თვალს მათს სპორტულ ფორმას, დავრწმუნდებით, რომ მატჩების წინ მათ ყველაზე კარგი და სტაბილური შედეგები ჰქონდათ, წინ უძღოდათ მიღწევათა მთელი სერიები. ვიმეორებ — უძლიერესი იქნება ის, ვინც უკეთ მოემზადება მომავალი შეჯიბრებისათვის.

— როგორ ფიქრობთ, რატომ წაგო ტალმა?

— ჩემთვის ძნელია ამაზე ლაპარაკი, თუმცა მაინც გავიმეორებ იმას, რაც ადრე მითქვამს. სათანადოდ არ მოემზადა მატჩისათვის, დაკარგა სპორტული ფორმა. არ გაითვალისწინა ყველა დეტალი.

— რას იტყვით ქართველ მოჭადრაკეებზე?

— ყოველთვის ინტერესით ვადევნებ თვალყურს ჭადრაკის განვითარების საქმეს რესპუბლიკებში. სიამოვნებას მგვრის ახალი სახელების გამოჩენა საჭადრაკო ცაზე. მინდა აღვნიშნო ქართველ მოჭადრაკე ქალთა მიღწევები. თქვენი ქალთა გუნდი ერთ-ერთი უძლიერესია.

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ჩემი საუკეთესო სურვილები გადასცეთ ქართველ მოჭადრაკეებს. ვუსურვებ მათ მიღწევებს. მალე შეხვედრამდე თქვენს დედაქალაქში.

საუბრის ბოლოს ვთხოვეთ მიხეილ ბოტვინიკს რამდენიმე სიტყვა დაეწერა ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის. მსოფლიოს ჩემპიონმა თხოვნა სიამოვნებით შეგვისრულა.

„ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲐᲚᲐᲛᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲬᲐᲠᲒᲘᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“Ს ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲡ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲐᲗ, ᲕᲘᲜᲪ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲡ.

Сердечный привет и наилучшие пожелания читателям „Коммуниста“, особенно тем, кто играет в шахматы.

Москва 19.8.61

Մ. ᲑᲝᲢᲕᲘᲜᲘᲙᲘ“.
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. 19. 8. 61 წ.

ᲮᲝᲛ ᲮᲔᲓᲐᲕ, ᲯᲕᲐᲠᲝ!

ᲣᲙᲕᲓᲐᲕ ძეგლებს უკვდავი ხალხი ქმნის თავისი დიდების გუშაგად საუკუნეებში.

სამარადისო ძეგლია ძველ ივერთა ბრწყინვალე ქმნილება, შორეული წარსულის მდუმარე მშვენება — ჯვარი.

„რა ხელმა ააგო, რა ხელმა აზიდა“!..

და რომ ასე ლამაზად აზიდულა, განდა უმზირო, თვალი გააძღო მისი ცქერით, გონებაში იფიქრო ქართველი ერის მაღალ სულიერ საუნჯეზე.

ვინ არ მოხიბლულა ჯვარით, მისი შემოგარენით!

დავით გურამიშვილს გულში ჩაპყვა ჩვენი ძეგლების ჯვარიც შორეულ მხარეში გარდახვეწილობაში. ჯვარის თაღებქვეშ შესთხოვდნენ ზენას შველას ქართლის წყლულით გულდაკოდილი სულხან-საბა, ვახტანგ მეექვსე, ბევრი სულმნათი ივერიისა.

ჯვარის სახება უძღოდა წინ იერუსალიმში, იქაურ ჯვარის მონასტერში გახიზნულ დიდ შოთას, ვისი სიბერის საუცხოო სურათიც ახლახან ნახა საბჭოთა საქართველომ.

ვისაც ჩვენი ძველი დედაქალაქი მცხეთა უხილავს, სვეტიცხოველი ანდამატივით იზიდავს. ნახავ ამ დიდებულ ძეგლს, და როგორ მოითმენ, რომ ჯვარსაც არ მიაკითხო!

ორივე ძეგლი სიდიადით ატყვევებს ადამიანს.

საქართველო შთაგონების თემად ეკცათ სიტყვისა და ყალმის დიდ ოსტატებსაც, მათ შორის: პუშკინს ლერმონტოვს, ტოლსტოის, ჩაიკოვსკის, გორკის, მაიაკოვსკის, ესენინს... საკვეყნოდ ცნობილია მათი უკვდავი ქმნილებანი.

საუკუნეთა დიდებით ანათებდა შესანიშნავი ძეგლი ჯვარი. იდგა განმარტოებით, და დღისით მზე, ღამით მთვარე და ვარსკვლავები დანათოდნენ.

მტკვარი ნანას უმღერდა, ქვემოთ მობუტბუტე, არაგვიც უთამაშებდა ატეხილ ზვირთებს, მაგრამ იგი მარად დუმდა მონასტრული მყუდროებით.

ისტორიულ ჯვარს ადამიანები მაინც არ ივიწყებდნენ, ხშირად ნახულობდნენ და უფრო მეტად ნახულობენ ახლა, რომ რუხი კედლების მზერაში წაიკითხონ გარდასულ უამთა ფურცლები.

საბჭოთა საქართველოს მეორმოცე წლისთავზე ჩვენი დროის დიდებით განთდა ჯვარი. ქართველი ხალხი დიდ ეროვნულ დღესასწაულს იხდიდა და წარსულიც სიყვარულით მოიგონა.

იქვე, ჯვარის მთის ძირას, სადაც არაგვი მტკვარს ეხუტება, ილიჩის შუქს შობს ჩვენი რესპუბლიკის ელექტროფიკაციის პირმშო — ზაჰესი.

ახლა ეს შუქი მთის კალთებზე აიკრა, რომ დამ-დამობით პროექტორებმა აკაშაშონ ჯვარი, შარავანდედი მოჰფინონ მის მშვენიერებას, რომელსაც თაობებისათვის იცავს და ამკობს დღევანდელი საქართველო.

გუშინწინ მთლად გაიცხო, გაიბადრა მთვარე. ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმაც დრო იხელთა და პირსავსე მთვარისა და შუქქლკვარე პროექტორების განათებაში გადაიღო ჯვარის სურათი. ფირზე გუმბათის სილუეტი აღიბეჭდა, გაბრწყინებული კედლები და გალავანიც ადასტურებს იმ დიდ ზრუნვას, რასაც ახალი საქართველო იჩენს ძველი ძეგლებისადმი, კერძოდ ჯვარისადმი.

მარად ალამაზე ეს მიდამონი, მთიდგინათე და ადიდე ჩვენი ქვეყანა, დიდებული ჯვარო!

ᲕᲐᲠᲚᲐᲛ ᲟᲣᲠᲣᲚᲘ.

* * *

ᲓᲘᲓᲘ სამუშაოები ჩატარდა ჯვარზე განათების მოსაწყობად არქიტექტორ ირაკლი ციციშვილისა და თბილისის მთავარ მხატვარ ოთარ ლითანიშვილის მონაწილეობით. ელექტროდანადგართა დამონტაჟებას ხელმძღვანელობდა თელასის სტალინის რაიონის განყოფილების მთავარი ინჟინერი ირაკლი კილაძე.

ფოტო ბ. დადვაძისა.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ
ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲮᲛᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲘᲓᲐᲜ

ᲬᲔᲚᲘ წელს მისდევს, სეზონი სეზონს და, როგორც წესი, კავკასიონის, პამირის მუდამ პირქუშ, ამაყ გოლიათებს მოკრძალებით დაუხრიათ თავი ქართველ ვაჟკაცთა, მთამსვლელთა წინაშე.

შვეული კედლები, მაღალი მწვერვალები, ტრაკერსები — აი მთამსვლელთა სტიქია. და როდესაც ჯერი მიდგება „მთის არწივთა“ გმირობის შეფასებაზე, დიდი ტრადიციის ქართველ მთამსვლელებს თითქმის ყოველთვის ოქროსმედალოსანთა, პრიზიორთა რიგებში ვხედავთ.

აი ახალი, 1961 წლის სეზონი.

მთაში გაჭრილ ვაჟკაცთა სასიხარულო ხმა გვესმის კავკასიონიდან. ჯერ იყო და საქართველოს ალპური კლუბის თმამსვლელთა ექსპედიციის ერთმა ჯგუფმა სამხრეთი რთული კედლით გზა გაკვალა მწვერვალ ჩათინზე და იქ გამარჯვების დროშა აიფრიალა. გუშინ კი „კომუნისტის“ რედაქციამ კიდევ ერთი სასიხარულო ცნობა მიიღო ბეჩოდან.

ექსპედიციის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვერვალი ა. ივანიშვილი გვაცნობებდა: „ᲛᲐᲖᲔᲠ-ᲣᲨᲑᲐ-ᲨᲔᲚᲔᲚᲘᲡ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲝ ᲢᲠᲐᲒᲔᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ. მთამსვლელთა ჯგუფი დიმიტრი ობოლაძის, გიორგი ჯაფარიძის, გიორგი დევიძის, ვახტანგ კვაჭაძის, ვალერი გაბელაშვილისა და იასონ ბერუაშვილის შემადგენლობით 23 აგვისტოს მშვიდობით დაეშვა ბანაკში. 24 აგვისტოს გამარჯვებულ მთამსვლელებს უშუალოდ ბანაკში გულთბილი შეხვედრა მოუწყეს“.

საქართველოს მთამსვლელთა ამ ზეიმს ჩვენი სიხარულიც ერთვის, ბარაქალა, ქართველო „მთის არწივებო“.!

ᲩᲠᲐᲓᲘᲪᲘᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲐᲚ

ᲐᲑᲐ სპორტის რომელ მოყვარულს დაუდგება გული სახლში 29 აგვისტოს. ეს დღე ხომ სპორტის სასახლეში განკუთვნილია თავისუფალ ჭიდაობაში საერთაშორისო მატჩისათვის.

საქმე ეხება ორი დიდი ტრადიციის ქვეყნის — შვეიცარიისა და საქართველოს ნაკრებთა პაექრობას.

შემთხვევით როდი განაცხადა შვეიცარის ნაკრების მწვრთნელმა სვედბერგმა გუშინ აეროდრომზე, რომ ჩვენ ჩამოვდით ჭიდაობის ქვეყანაში და გვიხარია ჩვენს ძველ მეტოქეებთან ერთხელ კიდევ შერკინება.

ᲓᲘᲓ ᲐᲗᲔᲣᲚᲡ ᲩᲐᲛᲝᲣᲗᲝᲠᲔᲑᲣᲚᲜᲘ

ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ხუთ თვეს გრძელდებოდა დიდი ათეულისათვის სპორტული პაექრობა, მაგრამ მწვერვალის დაპყრობა მხოლოდ უძლიერესებმა შეძლეს. 22 კოლეტივს 12 ჩამოშორდა, ისინი მეორე ფინალურ ჯგუფში მოხვდნენ და მეთერთმეტე — ოცდამეორე ადგილებისათვის განაგრძობენ ბრძოლას.

„ა“ კლასის ამ მეორე ეშელონის წარმომადგენელთა კიდევ ერთი მატჩი გაიმართა გუშინ ბაქოში „ნეფტიანიკისა“ და ტალინის „კალევის“ გუნდებს შორის. სტუმრებმა დამარცხება იგემეს 0 : 3.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ 18 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

ᲠᲘᲒᲐ, 25 აგვისტო. (საკადესი). რიგელი 18 წლის ანდრის ანდრეიკო სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა ასუჯრიან შაშში.

სსრ კავშირის პირველობის ტურნირზე რიგაში, რაც 24 აგვისტოს დამთავრდა, მან 14 ქულა მოაგროვა 20 შესაძლებელში. ანდრეიკო ჩემპიონატის ერთადერთი მონაწილეა, რომელსაც არც ერთი პარტია არ წაუგია.

„ᲙᲚᲓᲘᲡ ᲕᲔᲤᲮᲕᲘ“

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 26 აგვისტო (საკადესი). ცნობილ ქართველ მთამსვლელს იოსებ კახიანს სსრ კავშირის სასპორტო საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურმა საბჭომ მიანიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის საპატიო წოდება.

იოსებ კახიანი ერთ-ერთი წამყვანი საბჭოთა მთამსვლელია. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე სეზონის საუკეთესო ალპინისტური მიღწევებისათვის შეჯიბრებაში იგი დაჯილდოებულია ორი ოქროს, ორი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედლებით. ი. კახიანმა მოახდინა 16 ასეთი უმაღლესი კატეგორიის სიძნელის /მარშრუტებზე, მათ შორის სტალინის პიკზე (7.439 მეტრი), ლენინის პიკზე (7.124 მეტრი), ვოროშილოვის პიკზე (6.666 მეტრი). იგი მონაწილეობდა პამირის ოთხ ექსპედიციაში.

მონაწილეობდა რა ერთობლივ ასვლებში ბრიტანეთის მთამსვლელებთან ინგლისისა და შოტლანდიის მწვერვალებზე, იოსებ კახიანმა ინგლისის სპორტული საზოგადოებრიობის აღტაცება გამოიწვია. მას მიანიჭეს დიდი ბრიტანეთის „კლდის ვეფხვის“ საპატიო წოდება.

ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲪ ᲓᲐ ᲡᲘᲜᲐᲜᲣᲚᲘᲪ

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ საშუალედო შესვენება ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა ერთმა ჯგუფმა სახლეარგარეთ ტურნესათვის გამოიყენა და აი იტალიიდან, ავსტრიიდან და ბულგარეთიდან მოვგდიოდა ცნობები, შეხვედრათა მსვლელობაზე, მატჩების შედეგებზე.

ამ ცნობათა ერთი ნაწილი სასიხარულო აღმოჩნდა, მაგრამ ზოგჯერ ფეხბურთის გულშემატკივრები სინანულს გამოთქვამდნენ, და სავსებით სამართლიანადაც. მაგალითად, ნაცვლად იმისა, რომ ხარკოვის „ავანგარდს“ პირველი დამარცხებისათვის რევანში აეღო ბულგარეთში, პლოვდივში „ნოკაუტი“ მიიღო ადგილობრივი „სპარტაკისაგან“ 1:6.

ცსკა-მ დამთავრა გამოსვლა ავსტრიაში. მართალია სამ მატჩში ბურთების საერთო შეფარდება შეადგენს 6:6, მაგრამ 2 გამარჯვება და ერთი წაგება თავისთავად მეტყველებს საბჭოთა ფეხბურთელების წარმატებაზე. კიევის დინამოელები კი სამშობლოში დაბრუნდნენ 1 მოგებით (2:1), 1 წაგებით (0:4) და 1 ფრედ დამთავრებული მატჩით (1:1).

ᲐᲛᲐᲡ ᲛᲝᲗᲕᲔᲚᲝᲓᲘᲗ

ᲡᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ჩემპიონი და თასის მფლობელი მოსკოვის „ტორპედო“ ფეხბურთელთა ყველაზე სტაბილური კოლექტივია არა მარტო შემადგენლობით, არამედ თამაშით და შედეგითაც. მას არა აქვს მოულოდნელი ჩავარდნები.

ამიტომ თასის გათამაშების გუშინდელ მატჩში მოსკოვის „ტორპედოსა“ და კურსკის „შრომითი რეზერვების“ გუნდებს შორის, ბუნებრივია, ტორპედოელთა გამარჯვებას მოველოდნ. ასეც მოხდა, 8:0 დამაჯერებელი მოგებაა.

ჩანს, ტორპედოელებს წელსაც განზრახული აქვთ, თასი „შინ“ დაიტოვონ.

ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲣᲪᲕᲚᲔᲚᲘᲐ

ᲙᲘᲕᲔᲕ ერთი გამარჯვება მოიპოვა გუშინ ბათუმის ნახევარფინალში ოსტატმა გურგენიძემ და ლიდერობას მტკიცედ ინარჩუნებს. მე-14 ტურში მან დაამარცხა არაქელოვი.

ანოხინმა მოუგო პრესს, ნეიმ — უსტინოვს, ბაგიროვმა — ჰალილბეილს, გიპსლისმა — მოსიონჟიკს, გრუშევსკიმ — კალანტარს. ბუსლაევ-ზახარიანის პარტიაში მოწინააღმდეგენი ყაიმს დასჯერდნენ.

14 ტურის შემდეგ გურგენიძეს 11,5 ქულა აქვს.

ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲐᲙᲠᲠᲓ

ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲘᲡ ალამი დაუშვეს. ეს „მოხდა გუშინ ბაქოში მოსწავლეთა დიდი ასპარეზობის უკანასკნელ დღეს.

შედეგები სასიხარულოა. სპორტის ყოველ სახეობას ზოლად გასდევდა კარგი მაჩვენებლები, ახალი რეკორდები.

როგორია საერთო გუნდური მაჩვენებლები?

პირველი პრიზი ხვდათ დედაქალაქის სპორტსმენებს. მომდევნო სამი ადგილი თანმიმდევრულად დაიკავეს უკრაინის, ლენინგრადისა და საქართველოს გუნდებმა.

რედაქტორი
Დ. ᲛᲔᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.



27 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ 12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 12.15 — გადაცემა — „დღეები პრონერთა ბანაკში“, 12.30 — მხატვრული ფილმი — „ცეროდენა ბიჭუნა“, 18.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.15 — „კინომოყვარულები“ (საკონკურსო გადაცემა), 19.25 — კონცერტი მაყურებელთა თხოვნით, 20.15 — მხატვრული ფილმი — „ხიდზე გადასვლა არ შეიძლება“.

ᲑᲐᲑᲣᲐ ᲐᲠᲥᲘᲤᲝᲡ ᲥᲔᲚᲔᲮᲘ

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

„ᲐᲠᲥᲘᲤᲝᲡ გარდაცვალა“ — ამ ორმა სიტყვამ მამცნო რაიონში ძვირფასი ბაბუას დაკარგვის ამბავი. დეპეშა ჯერ ისევ ხელში მეჭირა, რომ ნაცნობ-უცნობები უკვე გარს მეხვევნენ, ათასგვარი სიტყვებით მანუგეშებდნენ და, როგორც ისინი ამბობდნენ, გულწრფელად იზიარებდნენ ჩემს მწუხარებას.

ბაბუა არქიფო, ფავის და უნებურად, სწორედ მაშინ დაემშვიდობა წუთისოფელს, როდესაც მივლინებაში ვიმყოფებოდი, და ამიტომ სასწრაფოდ მომიხდა რაიონიდან დაბრუნება. რაც მთავარია, ჩემს ორ მოადგილეს და საწყობის გამგეს სასწრაფოდ გაეტარებინათ გადაუდებელი ღონისძიებები და ყველა თანამშრომლისათვის მიეცათ სათანადო დავალებები. მე შეუსწორებლად დავამტკიცე მათ მიერ დიდი გულმოდგინებით შედგენილი არქიფოს პანაშვიდის მოწყობისა და ქელეხის გამართვის გეგმა.

რაიონიდან ჩემი ჩამოსვლის მეორე დღესვე დაიწყო დეპეშებისა და გვირგვინების მოზღვავება. შესასვლელიდან მეოთხე სართულამდე კიბის ორივე მხარე გვირგვინებით აივსო, ოთახები და აივანიც არ აღმოჩნდა საკმაო მათ მოსათავსებლად. გვირგვინების აბსოლუტური უმრავლესობა სანლის ყვავილებით იყო გაკეთებული. ან რა გასაკვირველია, ჩვენში ახლა ყოველდღიურად იმდენ გვირგვინს აკეთებენ, რომ კაცი ცოცხალ ყვავილებს მკვდრისათვის კი არა, ცოცხლისთვისაც ვერ იშოვნის, სანთლით რომ ეძებოს.

მეყვავილეთა ჭკუისა და მოხერხების წყალობით, უკანასკნელ ხანებში ფართო გავრცელება ჰპოვა გვირგვინების წარმოებაში სანთლის ყვავილებმა. მეყვავილეთა „მცირე გამორჩენას“ რომ თავი დავანებოთ, ახეთ გვირგვინებს ის უპირატესობა აქვს, რომ დიდხანს ინახება და შესაძლებლობას აძლევს ჭირისუფალს გაანათხოვროს ან გაიყიდოს კიდეც.

პანაშვიდის დროს ყველას ყურადღებას იპყრობდა მიცვალებულის თავთან საგანგებოდ წამოჭიმული ცოცხალი ყვავილებით შემკული სამი გვირგვინი. ისინი ჩემს ორ მოადგილესა და საწყობის გამგეს ეკუთვნოდათ. როგორც შემდეგ გადმომცეს, მათ სპეციალურად გაუგზავნიათ რაიონებში მანქანა ბაბუა არქიფოსათვის გვირგვინის გასაკეთებლად.

რამდენი გულამაჩუყებელი სიტყვაც არის შემკული გვირგვინები. მის წლოვანებას (ბაბუა ოთხმოცდათვრამეტი წლის ასაკში გარდაიცვალა) სრულ ი ადაც არ შეუშლია ხელი ნაცნობ-მეგობრებისათ ვ ი ს ასეთი წარწერები გაეკეთებინათ გვირგვინებზე: „უდროოდ დაკარგულ არქიფოს,“ ან „სიცოცხლით სავსე მოხუცს. ძვირფას ბაბუას“.

ექვსი წლის წინათ ბებიაჩემის დასაფლავებაზე ბევრს არავის შეუწუხებია თავი. მაშინ მხოლოდ მოანგარიშედ ვმუშაობდი და, როგორც ჩანს, ჩემზე ნაკლებად სხვებმაც არ იცოდნენ ცხოვრების ანგარიში, ვისთან მისულიყვნენ და ვისთან არა. დღეს დირექტორი გახლავართ და, თანამდებობის ზრდასთან ერთად, საოცრად გაიზარდა ნაცნობ-მეგობრებისა და ჭირისუფლების რიცხვიც.

მე ახლა გავიგე, თუ რას ნიშნავს ერთგული მეზობლები და თანამშრომლები. ჩემს მოადგილეს გაზაფხულის წვიმასავით ჩამოსდიოდა თვალებიდან ცრემლები. მისი რეკომენდაციით იყო, რომ ბაბუა არქიფოს, როგორც ძველ ყარაჩოღელს, პანაშვიდის დროს დოლითა და დუდუკით დაულოცეს გზა. სამი დღის განმავლობაში ყოველ საღამოს ისმოდა ჩემი სახლიდან დოლისა და დუდუკის ხმა. მუსიკოსებმა თანამედროვე „სტილნი“ სიმღერების რეპერტუარი რომ ამოწურეს, შემდეგ „იავნანაც“ კი დაუკრეს.' ერთი ახალგაზრდა, როგორც ჩანს, ექსტაზში შევიდა, დამკვრელებს თუმნიანები ჩამოურიგა და „სულიკო“ შეუკვეთა, მეორემ „ჩემო ტკბილო მეგობარო“ დაკვრევინა და მალე სამგლოვიარო მუსიკა რესტორანში მოქეიფეთა მხიარული სიმღერების მელოდიებმა შეცვალა. ქუჩაში გამვლელებს ჩვენთან ალბათ პანაშვიდი კი არა, ქორწილი ეგონებოდათ.

ოთხი დღის განმავლობაში ფეხზე დგომით ჩამოვშშდი. ვინ მოთვლის, რამდენი ნათესავი, მეგობარი და ამხანაგი, ნაცნობი და უცნობი მოვიდა ბაბუა არქიფოს პანაშვიდზე. აქ ისეთებიც იყვნენ, რომლებსაც ბაბუა არქიფო სიზმარშიც არ ენახათ და, ცხადია, არც მე მიცნობდნენ, მაგრამ ამისათვის ხომ ვერ დასძრახავ კაცს, რომ პანაშვიდსა და ქელეხზე მოვიდეს!

განსაკუთრებით ერთმა კაცმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. ის მუდამ ჭირისუფლებთან ტრიალებდა. ქალების წივილ-კივილს ბანს აძლევდა და ცერისოდენა ცრემლებს ყრიდა თვალებიდან. დროდადრო ისე შემომხედავდა, რომ მისი თვალები უსიტყვოდ ლაპარაკობდნენ უდიდეს ერთგულებაზე. ამ ახალგამოჩენილი „ჭირისუფლის“ ვინაობა შემდეგნაირად ამიხსნა ჩემმა მოადგილემ:

—მაგი, ბატონო, თქვენს მობრძანებამდე მუშაობდა ჩვენს დაწესებულებაში სამეურნეო ნაწილის გამგედ, დიდი გაქნილი, კვაჭი კაცია. ამის წყალობით რამდენიმე წელიწადი უფასო „აგარაკზე“ იმყოფებოდა.

— ჩემთვის გასაგები გახდა, რომ ეს „გულდათუთქული ჭირისუფალი“ ბაბუაჩემს კი არა, თავის დაკარგულ თანამდებობას გლოვობდა და არქიფოს სულის საცხონებლად კვლავ სურდა მისი მიღება.

ბაბუა არქიფოს დაკრძალვის დღეს ჩვენი ეზო უზარმაზარ სამზარეულოს დაემსგავსა. აქ უკვე მთელი ძალაუფლება საწყობის გამგის ხელში იყო და მისი განკარგულებით იყრებოდა პირდაღებულ ქვაბებში ხორცი და თევზი, ლობიო და მაკარონი, ბრინჯი და ქიშმიში.

დილიდანვე აივსო ჩვენი ეზო ავტობუსებითა და მსუბუქი მანქანებით. მათი დანახვით კაცი იფიქრებდა კიდევ დარჩა ქალაქში ტრანსპორტი თუ არაო.

დადგა ბაბუა არქიფოს გამოსვლების დრო. ჯერ გვირგვინების ჩამოხსნა და გამოტანა დაიწყეს, რასაც ნახევარ საათზე მეტი დრო დასჭირდა. ქალების წივილ-კივილმა ამცნო შეკრებილთ, რომ არქიფო სამუდამოდ ეთხოვებოდა ოჯახს. ის ნელა ჩამოასვენეს კიბეებზე და სამგლოვიარო პროცესია ტაატით გაჰყვა წინმიმავალ გვირგვინებით შემკულ თორმეტ სატვირთო მანქანას.

სასაფლაოზე ბევრი გულამაჩუყებელი სიტყვა ითქვა მიცვალებულის შვილიშვილს და შემდეგ მიაბარეს ბაბუა არქიფო მიწას. მანქანები კვლავ შეიავსო ხალხით და ბაბუაჩემის გარდა ყველა უკანვე დაბრუნდა ქელეხზე მიცვალებულის სულის საცხონებლად.

საწყობის გამგეს ოსტატურად გაეწყო ეზოში მაგიდები და ისეთი სუფრა გაეშალა, რომ მშიერი კაცი კი არა, მაძღარიც ვერ აუვლიდა გულგრილად გვერდს ასეთ პურ-მარილს. დაპატიჟება არავის დასჭირებია, ისე შემოვუსხედით მაგიდას. პირველ „ხანებში მხოლოდ დანა-ჩანგლის სასიამოვნო მუსიკა ისმოდა. მალე თამადამ სული მოითქვა და თავისი პირდაპირი მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

— რა ბაბუა დავკარგეთ, ბიჭო, რა ბაბუა! რა ვაჟკაცი იყო ის ცხონებული! — ამ სიტყვებით დაიწყო თამადამ ბაბუა არქიფოს ხსოვნის აღსანიშნავი სადღეგრძელო და მაგიდის წევრებმაც უსიტყვოდ გამოსცალეს ჩაის ჭიქები.

— ქელეხში შვიდი ან ცხრა ჩაის ჭიქა უნდა დაილიოს წესის მიხედვით, — განმარტა შუახნის კაცმა. — სმის ეშხში შესული თამადა უკვე აღარავის უსმენდა და მეთხუთმეტე ჩაის ჭიქის შემდეგ ლიტრიანი ყანწი შეეავსო.

— ამ სასმისით ჩვენს ძვირფას უფროსს, ჩვენს ჭიჭიკოს გაუმარჯოს! (ეს უკვე მესამედ ისმებოდა ჩემი სადღეგრძელო).

— კაცო, ერთხელ ხომ დავლიეთ! — გაუბედავად თქვა ერთმა.

— ლაპარაკი, უზრდელო! უფროსის სადღეგრძელო ყოველ წუთში უნდა დალიოს კაცმა!

— ზრდილობიანად განუმარტა თამადამ. ვატყობდი, ყველაფერი აირია, მაგრამ რას ვიზამდი, ჭირისუფლის უფლებები შეზღუდულია ასეთ დროს. ბევრმა ბარბაცით დატოვა მაგიდა..

უკანასკნელი ათი კაცი ხელიხელგადახვეული გავიდა ქუჩაში და მალე იქიდან სიმღერის ხმა შემოვიდა ოთახში.

რას იზამ, უნდა გაუძლო კაცმა. დავიჯეროთ, ასეთი პანაშვიდი და ქელეხი საჭიროა მიცვალებულის პატივსაცემად, მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად?!

Ნ. ᲨᲕᲔᲚᲘᲫᲔ.

ᲗᲕᲘᲗᲜᲐᲙᲔᲗᲘ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ



ᲣᲔᲭᲕᲔᲚᲐᲓ დაგ ა ი ნ ტ ერ ესებთ, ეს რა ახალი კომფორტაბელური ავტომობილია და ასეთ ლამაზ მანქანებს სად ამზადებენო? ეჭვი არ გეეპარება, ძალიან გაგიკვირდებათ, როცა შეიტყობთ, რომ ამ კოხტა ლიმუზინის სამშობლოა მზიური საქართველოს ერთ-ერთი კუთხე და რომ მანქანა ავტოქარხნის კონვეიერიდან კი არ ჩამოსულა, არამედ ჩვეულებრივი სოფლელის მარჯვე ხელით არის აწყობილი.

ავტომობილი, რომელსაც ჩვენს ფოტოსურათზე ხედავთ, „საქსოფლტექნიკის“ ზესტაფონ ი ს სახელოსნოების მერემონტე ზეინკლმა ფეზო მეგრელიშვილმა აწყო.

— რამდენიმე წელიწადს ვაგროვებდი სათადარიგო ნაწილებს, — გვიამბობს რ. მეგრელიშვილი სანამ შევუდგებოდი მუშაობას, რაზეც დაახლოებით ერთი წელიწადი დამჭირდა.

რაკი მანქანა აწყობილია სხვადასხვა ავტომობილების დეტალებისაგან და საფაბრიკო მარკა არა აქვს, მას ჩემი სამშობლო ადგილების პატივსაცემად „გურია“ დავარქვი.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲖᲔ: რ. მეგრელიშვილი მის მიერ აწყობილ ავტომობილთან.

ტექსტი და ფოტო ს. კილაძისა.

ᲐᲡᲔᲪ ᲮᲓᲔᲑᲐ!

ᲛᲐᲛᲐᲪᲘ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲣᲚᲘᲙᲝ ერგემლიძე სამსახურიდან დაბრუნდა, მარდად აიარა კიბის საფეხურები, სახლში შევიდა და საოჯახო საქმეს შეუდგა. უეცრად ტკაცანი და შეილი მოესმა. ქალიშვილმა მიმოიხ ე დ ა და სასწრაფოდ აივანზე გამოვარ